სახალხო ფურცელი

№ 780 ხუთშაბათი 26 იანვარი 1917 წ. № 780

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—20 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკან—20 კაპ., ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღირს 8 მან., 25×2 ღირს 10 მან. 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „ქართლში" პუშკინისა და ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ძველი სასულიერო სემინარიისა და ეღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Пурцели", поч. ящ. 190.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისთვის გაზეთ

„სახალხო ფურცელზე"

გაზეთი სურათებიანი დამატებით ღირს წელიწადში 15 მანეთად, ნახევარი წლით 8 მანეთად, სამი თვით 3 მ. 75 კ.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, სახალხო ფურცლის რედაქცია, სასახლის ქუჩა, № 6. Тифлисъ, редакція „Сахалхо Пурцели" поч. ящ. 190.

მღვდელი დიმიტრი, ბარბარე გიორგის ასული ნინო და თამარ ციქუბაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ 28 იანვარს გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე მოულოდნელად დაკარგულ, პირველთ ორისა საყვარელი და დაუვიწყარი შვილის, უკანასკნელთა ერთად-ერთი ძვირფასი ძმის სოფელ ტატიანოვკას მასწავლებლის

სოლომონ დიმიტრის ძის ციქუბაძის

სულის მოსახსენებლად. 91

დედა კნ. ნატალია ნიკოლოზის ასული აბაშიძისა და მეუღლე კონსტანტინე ბეჟანის ძე საბახტარიშვილი გულითად მადლობას უძღვნიან ყველა იმათ, ვინც პირადი დასწრებით, წერილობით ანუ დეპეშით ანუგეშა მათი დამწვარი გული და პატივი სცა

ნინო (ნუცა) იასონის ასულის საბახტარიშვილის

ხსოვნას. 92

ნესტორ დიმიტრის ძე ჩხეიძე შვილებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი მეუღლის

ანასტასია იოსების ასულის ჩხეიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ-დღე საღამოს 6 საათზე. მეტეხის შესახვევი 46. მიცვალებულის გამოსვენება დანიშნულია კვირას 29 იანვარს დილის 9 საათზე. ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიაში წირვის მოსასმენად. დაკრძალვა მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 79

ღრმად დამწუხრებულნი: ივანე და ბენიამინე იოსების ძენი, ანნა და მელანია იოსების ასულნი ინდუაშვილნი, ბარბარე იოსების ასული გძელიევისა და ნატალია იოსების ასული ინდუაშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველთა საყვარელის და დაუვიწყარის დედის, ხოლო უკანასკნელის დედამთილის

მარიამ გიორგის ასულის ინდუაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათ. (ბაგრატიონის ქ., საკ. სახლი № 7), გამოსვენება შაბათს, 28 იანვარს, დილის 10 საათზე ანჩისხატის საკათედრო ტაძარში, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 78

ამა წლის 24 იანვარს, სოფ. თიანეთში, თიანეთის მაზრაში, მშვიდად მიიცვალა დამსახურებული დეკანოზი, ტფილისის პეტრე პავლეს სასაფლაოს ეკლესიის წინამძღვრად ნამყოფი

ზაქარია სიმონის ძე გძელიშვილი,

76 წლისა დაბადებიდან, რასაც გამოუთქმელ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე პელაგია ზაქარიას ასული, შვილები: ანდრონიკე, ექიმი იაკობ ზაქარიას ძენი, ქალები ნინო ზაქარიას ასული ჩილოვისა და ნადეჟდა ზაქარიას ასული გძელიშვილი, რძლები ლიდია სერგეის ასული და ეკატერინე იულიანეს ასულნი და შვილიშვილები. პანაშვიდი ყოველ დღე თიანეთში. დაკრძალვა თიანეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. 90

პ. ი. ზუბალაშვილის სახელ. ქ. სახ. სახლი

ხახ. სახ. არს. ქართულ წარმოდგენ. მმართ. წრის მიერ

დღეს, 26 იანვარს, 1917 წ. წარმ. იქნება:

ყაჩაღები ტრ. 5 მოქ. შილლერისა თარგ. ნ. ავალიშვ.

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნი მარგველაშვილი; ბ-ნნი: გ. ანაშვილი, ნ. გოცირიძე, ი. მინდიაშვილი, ა. თავდგირიძე, მ. მამაჯანოვი, ალ. მეტრეველი, ვ. ნინიძე, გ. ჯაბაური, ს. რომანიშვილი, სალაყაია, ხიმშელი, შანშიაშვილი.

დასაწყ. საღამ. ზუსტად 8 ს. ადგ. ფასი 10—59 კ. ბილეთ. კასა ღიაა ყოვ. დღე დილ. 12—2 ს. და საღ. 6—8 ს. ✦ შემდეგი წარმოდგ. 24 თებერვ.

რეჟის. ქ. შათირიშვილი. ქარ. სახ. წარ. წრ. ადმინ. 86

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 163, საზამთრო შენობა).

დღეს, 26 იანვარს, 1917 წელს.

საგზანდარი

დასაწყისი საღამოს 8½ საათზედ. სტუმრები საზოგადო წესით. 1002

დილით — დილით

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდ. № 36.

(ახალ კლუბის შენობაში).

წარმოდგენა **ი. ზარდალიშვილისა.**

კვირას, 22 იანვარს, 1917 წ. მ. გამყრელიძის მონაწილეობით წარმ. იქნება ცნობილი პიესა რომაელთა ცხოვრებიდან:

გაიოს გრაკხუს

ტრაგედია 5 მოქ. მონტისა.

გაიოსის როლს შეასრულებს ი. ზარდალიშვილი.

ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდენია. ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში. დასაწყისი დილის 12 ს.

1028 რეჟის. *** ადმინ. ქართ. დრამ. საზ.

ახალი დიდი **ცირკი** ახალი დიდი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთარი, ახლად შეკეთებ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 19.00

დღეს, 26 იანვარს, გაიმართება

გრანდიოზული წარმოდგენა

ვალოდია აუხსნის ხალხს

თავის ნიჭის საიდუმლოებას. აგრეთვე გამოიანგარიშებს კვირის დღეებს 10 ათასს. დაბოლოს გააცნობს თავის [illegible], სად ყოფილა და ვის შეხვედრია. დღეს პირველი გასტროლი დების გელიოსისა. დღეს ბალეტი-პანტომიმა—მეზღვაურთა დღესასწაული. აგრეთვე 4 ცხენით მოჯირითე, რომელთათვისაც დანიშნულია პრიზი 50 მან. მონაწილეობს რუსის იუმორისტი ბ. ხუტორსკი. უკანასკნელი გასტროლი ლიონელისა. დასაწყისი 8-ნახევარ საათზე. ✦ ყურადღება! პარასკევს, 27 იანვარს, უკანასკნელი გამოსათხოვარი გასტროლი კამბაროვისა.

დასაწყისი 8 ს. ✦ წაიკითხეთ აფიშებში.

სამკურნ. კაბინეტი ექიმ

პ. ს. ფონ-ირტელისა

სპეციალისტი ქირურ., საშარდე-სასქესო., სიფილისის, ვენერიული და კანის (გასივება, ბუასილი, უკაცობა, შედეგი ონანიზ. და სიფილ., თირკმელების ავადმყ.), წამლობა სიფილისისა ერლიხის პრეპარ. „914" და „606" და ელექტრონით. ორივე სქესის ავადმყოფებს იღებს 9—12 ს. და საღ. 4—8 ს. მიხეილის ქ. 128 შესავ. კრილ. ქ. 1, მეორე კარი. 1352

ექიმი

შ. ა. მიქელაძე

მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 171.

ექიმი

კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა № 4. სასტუმრო ვეტცელის გვერდით ტელეფ. 15—00. 1271

ქიმი ქალი

ს. ზ. მირზოევი

[illegible]

ღებს [illegible] ავადმყოფთ ყოველ-დღე [illegible] 5½—8½ საათამდე, კვირა დღის გარდა. სერგიევის ქუჩა, № 1.

[illegible] № 16—87 1409

ექიმი

ვ. მუსხელიშვილი

იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1060

ექიმი

ა. ა. ნარიმანოვი

ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606" და „914" პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე საღ. 5½ ს.-დან 8 ს.-მდე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. 16—17. 457

ექიმი

ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს ახალ ბინაზე, საღამოს 6—7 საათამდე, კვირა დღის გარდა.

ვერის მოედანი, ექიმი სომესტიანსკის სახლი. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. ტელეფონი 5—54. 1144

ექიმი

მ. დ. წინამძღვარიშვილი

ყოფილი ორდინატორი თერაპევტიული კლინიკებისა, ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტისა. შინაგანი სნეულებანი. გულისა, ფილტვისა და ხახხლის სნეულ. სპეციალურად. იღებს საღ. 5—7 ს.-დე, ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ., № 26, მეორე სართული. 1061

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის

დოქტორი

გ. გ. მეჰრაბიანცი

შინაგან ავადმყოფობა—ფილტვ. და გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრ. კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, აგრეთვე ყოველგვარი ფიზიოთერაპიით და ელექტრონით. თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი სოლლუქსი, განსაკუთრებული ნაკადები ღარისხევლისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, არტერიოსკლეროზის, თირკმლების და ღვიძლის სნეულებ. სისხლის ნაკლებობისა, უძილობისა, ხერხემლისა სისუსტის, ასთმისა, ბუასილის და რევმატიზმის დროს. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილს 9—1 ს.-დე და საღ. 5—7 ს., ხებუთოვის ქ., № 28. ტელეფ. № 7—92. 863

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა.

მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიშვილისა. ტელეფ. 5—77. 1059

ექიმი

თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი კიროჩნი ქ. 18. 1391

ტფილისი, 26 იანვარი 1917 წ.

პოლონეთის ბედი.

თანამედროვე ომმა ყველა ჩაგრულ ერს განსაკუთრებული იმედი აღუძრა. ყველამ ყურები სცქვიტა და ხოემზადა მონაწილეობა მიეღო მსოფლიო ორომტრიალში და თავისი სახე აღედგინა, შემთხვევით ესარგებლნა და მონობის ბრჭყალებიდან თავი დაეძვრინა. ამას ხელს უწყობდა განსაკუთრებით ის ლამაზ-ლამაზი სიტყვები, ძალიან ბევრი რომ ისარჯებოდა ომის პირველ ხანებში ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან და ახლაც რომ იხარჯება: ჩვენ ვიბრძვით ჩაგრულ ერთა გასანთავისუფლებლად, ვიბრძვით ეროვნულ პრინციპისათვისაო. ეს რასაკვირველია, ტყუილია და ყველა ჭკუათმყოფელმა იცის, თუ რისთვის იბრძვის ესა თუ ის მხარე. ხოლო ერთს ერს თითქოს გაუღიმა ბედმა და თავისუფლების სხივმა შეანათა მის ბნელით მოცულ საპოლიტიკო ცხოვრებაში—ეს არის პოლონეთი.

პოლონელი ხალხი მუდამ იბრძოდა თავისუფლებისათვის და მუდამვე ილტვოდა თავის ეროვნულ თავისებურების შესანარჩუნებლად. ეს ომი რომ დაიწყო, პოლონეთი ორთავე მებრძოლ მხარისათვის საჭირო შეიქმნა. ერთის მხრით მოდიოდა გერმანია, რომელიც მოუწოდებდა: მოიგონეთ ციმბირის ცივ ყინულოვან ადგილებში გარდაცვლილ თქვენთა მებრძოლთა ძვლები და იდეები, ალსდექით, შემოგვიერთდით, მოგვაქვს თქვენთვის თავისუფლება და სისხლიან არწივის კლანჭებისაგან განთავისუფლებაო. ასეთი იყო დაახლოებით იმ პროკლამაციების შინაარსი, რომელსაც გერმანელები არცელებდნენ. თავის მხრით არც რუსეთი დარჩენილა უხმოდ. უმაღლესმა მთავარსარდალმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ გამოსცა მოწოდება პოლონელებისადმი, სადაც ლაპარაკი იყო და სამაგიეროდ ერს ჰპირდებოდა დაერთიანებას, შინაურ საქმეებში დამოუკიდებლობას, ავტონომიას. მაგრამ ამაოდ ელოდნენ პოლონელები მის განხორციელებას. ეტყობოდა ეს პირადი აქტი უფრო იყო, ვიდრე სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გორემიკინმა პოლონეთის ავტონომიის თაობაზე მხოლოდ მაშინ დაიწყო ლაპარაკი, როცა რუსები ვარშავას სცლიდნენ და ფაქტიურად მთელი პოლონეთი გერმანიის ხელში გადასულიყო. ესე იგი რუსეთის მხრით, როგორც ყოველთვის სჩვევია, იყო სიტყვა და არა საქმე.

მას შემდეგ დიდმა ხანმა გაიარა და ბევრი რამ მოხდა. გერმანიამ პოლონეთს დამოუკიდებლობა მიანიჭა და ახლად შემდგარი პოლონელთა მთავრობა უკვე შეუდგა სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის შექმნას, ჯარის შეგროვებას და სხვა. ეტყობა პოლონელებს თუ სავსებით არა, ნაწილობრივ მაინც აკმაყოფილებს ეს დამოუკიდებლობა. გერმანიის აქტის მომხრეა აქტიური პოლონეთის უდიდესი ნაწილი—მემარცხენე სოციალისტური პარტიები და მხოლოდ მერყევი და პასიური ელემენტები, რომელნიც რუსეთთან დაკავშირებულნი მუდამ შიშმორჩილობაში არიან—ვერ გამაგრებულან და გარკვეული პოზიცია ვერ დაუჭერიათ. ისე კი ჩვენს თვალწინ მოხდა ისტორიის ერთი უმნიშვნელოვანესი აქტი — ჩაგრული, მორკინალდებული ერი განთავისუფლდა, თუმცა ეს საქმე მოხდა არა მოკავშირეთა მეოხებით, არამედ გერმანიის ხელით.

ხელმწიფე იმპერატორმა „თანახმად ჯარისა და ფლოტის მიმართ მოწოდებისა, სადაც აღნიშნული იყო თავისუფალ პოლონეთის აღდგენა სამ განცალკევებულ ნაწილისაგან ომის შემდეგ, ბრძანება გამოსცა, რათა შემუშავებულ იქნას ძირითადი დებულებანი აღდგენილ პოლონეთის წესწყობილებისა და მის იმპერიასთან დამოკიდებულებისა. ამისდამიხედვით უნდა დაარსდეს განსაკუთრებული კრებული მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობით".

ომის გარშემო

ომის დღიური

ამერიკის და გერმანიის შორის დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტის ჯერ თვალსაჩინო შედეგი არ მოუტანია. არც ის ვიცით თუ როგორ შეხვდა გერმანია ამერიკის საქციელს. გერმანია განაგრძობს წყალქვეშ ბრძოლას და ჰლუპავს გემებს, როგორც მოპირდაპირისას, აგრეთვე ნეიტრალურს. ნეიტრალური სახელმწიფონიც სდუმან და ჯერ თავისი აზრი ამის შესახებ არ გამოუთქვამთ.

ამ დღეებში სკანდინავიის სახელმწიფოთა მეფეების შეხვედრა მოხდა და გვლაც როგორცა სჩანს მოლაპარაკება აქვთ, ალბად საერთო ზახუსს აშზადებენ.

ბრძოლის ასპარეზებით თვალსაჩინო არაფერი მომხდარა; მხოლოდ ზოგან ადგილობრივ ხასიათის შეტაკებანი ხდება.

საყურადღებოა გუშინდელი რომიდან მოსული ცნობა: გერმანელები ტრენტინოში ჯარს აძლიერებენ. იგი

ვე დეპეშა გვაუწყებს, რომ ინსბრუკში გერმანელების დიდძალი ჯარია დაგროვილი. თუ ამას დაუმატებთ ცნობას, რომ ამას წინად დაჟინებით ლაპარაკობდნენ: გერმანია დიდ ჯარს აგროვებს ციურიხის მახლობლადო, მაშინ საიდუმლოებას თითქოს ოდნავ ფარდა ეხდება და ცოტა არ იყოს გერმანიის განზრახვა აშკარავდება. ციურიხის რაიონში დაგროვილ ჯარს ალბად ევალება საფრანგეთის მოსალოდნელ შეტევის შეჩერებაზე ალზასში და იმავე დროს გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ჯარები კონცენტრიულ შეტევას დაიწყებენ: პირველი ინსბრუკიდან ადიჟის ველის მიმართულებით და მეორე კი ალბად სადმე იზონცოს ხაზით. ეს გასაკვირველია მხოლოდ მოსაზრებაა დ მის საფუძვლიანობას გარდა ჯარების კონცენტრაციისა გვიმტკიცებს აგრეთვე ის გარემოება, რომ ამერიკის გამოსვლით გერმანიის მდგომარეობა ზღვაზე მეტად რთულდება და ბლოკადა უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს; შეიძლება გერმანია სრულიად მოსწყდეს სკანდინავიის სახელმწიფოთ და ჩრდილოეთით გასავალი არსაით ჰქონდეს. ამ გარემოებაში იტალიისაკენ შეჭრა და ლომბარდიის დაპყრობა გერმანიას დიდს მოგებას მოუტანს, მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში ბალკანეთის საკითხი და კერძოდ სარაილის ჯარის ბედი საბოლოოდ გადაწყდება. ამიტომ მოსალოდნელია, რომ გერმანია მორიგ საკითხად იტალიის წინააღმდეგ შეტევას წამოაყენებს.

ზე—გა—ლი.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 24 იანვარი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. არტილერიის ძლიერი სროლის შემდეგ მოპირდაპირემ შეტევა დაიწყო წინააღმდეგ ჩვენი ჯარისა, რომელიც ვოლია სადოვსკაიას დასავლეთით სდგას, (კისელინის 15 ვერსის სამხრეთით). სროლით დავხვდით და უკუვაქციეთ თავის თხრილებში. ბროდის სამხრეთ-დასავლეთით მოპირდაპირე შეტევას შეეცადა, მაგრამ სროლით შევაჩერეთ.

რუმინიის ბრძოლის პირი. სროლაა.

კავკასიის ბრძოლის პირი. ტისაკში, კიალკიტის 10 ვერსის დასავლეთით. 22 იანვარს ძლიერი მიწისძვრა მოხდა.

დასავლეთის ასპარეზი

პარიზი. 23 იანვარი. ცნობა დღისით. მოპირდაპირის მოულოდნელი იერიში სომას სამხრეთით, ბარლეს რაიონში მოვიგერიეთ, დიდი ზარალი მივაყენეთ და ტყვეებიც წავარვით. ღამით რამდენჯერმე გავილაშქრეთ მეტადრე შამბრეტის რაიონში, პონტა-მუსონის ჩრდილო-დასავლეთით. ალზასში ტყვეები და ნადავლი წავართვით. ტყვეთა შორის ერთი ოფიცერია.

პარიზი. 23 იანვარი. ოფიციალური ცნობა. გუშინდელმა დღემ შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა. უეცრივ იერიშით რეიხს-აკრკოფის რაიონში დავატყვევეთ 16 გერმანელი და წავართვით ტყვიისმტყორცნელი.

პარიზი. 24 იანვარი. ცნობა დღისით. მაასის მარჯვენა ნაპირით მოპირდაპირის ორი იერიში, ერთი—ლუვემონის აღმოსავლეთით და მეორე—ეპარჟეში, სროლით მოვიგერიეთ. ლორენში, პარუას ტყის ჩრდილო-დასავლეთით მოპირდაპირემ იერიში მოიტანა; პირველ ხაზს მოახწია, მაგრამ კონტრიერიშით უკუვაქციეთ. სერვილეს რაიონში დავატყვევეთ მოპირდაპირის მზვერავნი. ალზასში, ასპახის რაიონში, ალტკირხენის ჩრდილო-დასავლეთით, არტილერიის სროლის შემდეგ, ჩვენი მზვერავნი სამ ალაგას გერმანელების პოზიციაზე შეიჭრნენ და დაუნგრიეს სანგრები და საფრები. ჩვენი მზვერავნი უვნებლად დაბრუნდნენ. დანარჩენ ბრძოლის პირით ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა.

ლონდონი. 24 იანვარი. ცნობა საღამოთი. სომას ბრძოლის პირით გუშინ და დღეს მოვიგერიეთ გერმანელების იერიშები და ტყვეები წავართვით. გედეკურის ჩრდილო-აღმოსავლეთით გუშინ-ღამ კარგად ვაწარმოეთ ოპერაცია, დავიპყარით მოპირდაპირის თხრილები 560 იარდის სიგრძისა, წავართვით ტყვიისმტყორცნელი და დავატყვევეთ 70 კაცი, მათ შორის ორი ოფიცერი. ღამით მოვიგერიეთ ორი კონტრ-იერიში. გუშინ საღამოს ბუშევანის რაიონში და გრანკურის ტყესთან, ბოკურის აღმოსავლეთით შევიჭერით გერმანიის ხაზში. უკანასკნელ დღე-ღამეში გერმანელებმა ოთხჯერ უნაყოფოდ იერიში მოიტანეს ჩვენს ახალ ბრძოლის ხაზზე. გუშინ დილით ვერმელის ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელების რაზმი ჩვენს პოზიციაზე შემოიჭრა, მაგრამ უმალ უკუვაქციეთ. დღეს დილით გერმანელებმა ნაღმი აფეთქეს ლაბასეს წინ.

იტალიის ასპარეზი.

რომი, 23 იანვარი. ბოლო დროს ტრენტინოში აღმოჩნდა გერმანელების ახალი ჯარი. ბავარიელების დიდძალი ჯარი თავ-მოყრილია , ინსბრუკში. ავსტრიელების საუკეთესო ტიროლის ჯარი თითქმის მთლად გაწყდა და ეხლა მის ნაცვლად ბავარიის ჯარი მოუყვანიათ. იტალიის არტილერია აფერხებს მოპირდაპირის ჯარის მოძრაობას.

გემების დაღუპვა.

პარიზი, 23 იანვარი. ჰავრიდან იუწყებიან, რომ ინგლისის გემმა „სოლიუპრენს“-მა წამოიყვანა დაღუპულ ტრანსპორტის „გაბრიელ“-ის გადარჩენილი მეზღვაურები.

ლონდონი, 23 იანვარი. ლოიდს ატყობინებენ, რომ ჩაძირულია ბრიტანიის სამი და დანიის ერთი გემი; გარდა ამისა დაღუპულია ერთი სატრანსპორტო გემი.

ამერიკის გამოსვლა.

ლონდონი, 24 იანვარი. ლონდონში მყოფმა ამერიკის ელჩმა ინახულა და დიდხანს ითათბირა გარეშე საქმეთა მინისტრ ბალფურთან. საღამოს გაზეთების ცნობით ამერიკის ელჩს დავალებული ჰქონია გაიგოს, დანარჩენი ნეიტრალური სახელმწიფონიც ისევე მოიქცევიან როგორც ამერიკა თუ არა? ფიქრობენ, რომ ესპანია ამერიკას მიბაძავს და სკანდინავიის სახელმწიფოთა მდგომარეობა კი მეტად უხერხულია, რადგანაც მოლაპარაკება აქვთ მეომარ სახელმწიფოებთან.

ოსმალეთის სამინისტროს შეცვლა.

სტოკჰოლმი, 24 იანვარი. სტამბულიდან იუწყებიან: მთავარი ვეზირი პრინცი საიდ-ჰელიმ-ფაშა გადადგა და მის მაგიერ დაინიშნა თალაათ-ფაშა, შინაგან საქმეთა მინისტრი. ქალილ-ბეი დაინიშნა იუსტიციის მინისტრად და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ. ნესიმ-ბეი—გარეშე საქმეთა მინისტრად; ენვერ-ფაშა კვლავ სამხედრო მინისტრად დარჩა, ჯემალ ფაშა—საზღვაო.

სპარსეთში.

თეირანი, 23 იანვარი. ნაციონალისტების აგიტაციის გავლენით სპარსეთის მთავრობამ უარჰყო რუსეთის და ინგლისის წინადადება ფინანსების საკანტროლო კომისიის გაფართოვებაზე და ამ კომისიაში რუსეთის და ინგლისის წარმომადგენლების დანიშვნაზე, რის შემდეგ რუსეთი და ინგლისი სპარსეთის მოთხოვნილებას სესხის შესახებ დააკმაყოფილებდნენ. სპარსელები ცდილობენ დრო მოიგონ იმ იმედით, რომ მალე ევროპაში ომის ბედი საბოლოოდ გადაწყდება. სპარსეთი ცოტა არ იყოს აამხედრა ვილსონის ნოტამ, რომელიც სპარსეთსაც, როგორც ნეიტრალურ სახელმწიფოს გამოუგზავნეს. ჭეშმარიტი პატრიოტები შეწუხებულნი არიან მთავრობის საქციელით.

ჟურნალ-გაზეთებიდან

გადამწყვეტ ბრძოლის მოლოდინში.

კოპენჰაგენიდან „ბირჟ. ვედ.“-ის ატყობინებენ: ჰოლანდიის გაზეთის სპეციალური კორესპონდენტის ცნობით გერმანიაში ყველა ელოდება, რომ ახლო მომავალში დიდი ამბები მოხდება და ბრძოლის სასწორი საბოლოოდ გადიხრება ერთ-ერთ მხარეზე. გერმანელების აზრით დიდს შეხლა-შეტაკებაში განსაკუთრებული როლი წყალქვეშა ნავებს და ჰაეროპლანებს ექნებათ, მათი მოქმედება მასიურ ხასიათს მიიღებს. ბერლინის პოლიტიკურ წრეებში დაჟინებით ლაპარაკობენ, რომ მალე ავსტრია-უნგრეთი დაამხობს და გაანადგურებს იტალიას. გერმანელები იმედოვნებენ, რომ ბელფორს აიღებენ და იმავე დროს ელზასში ფრანგების მხრით დიდს შეტევას მოელიან. ფიქრობენ, ახალი დიდი შეტევა ან თებერვალში ან და მარტის პირველ რიცხვებში მოხდებაო. გერმანელ ხალხის მასაში დარწმუნებულნი არიან, რომ მომავალი შეტაკება უკანასკნელი სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა იქნება და ომის ბედს საბოლოოდ გადასწყვეტს.

ოთხთა შეთანხმების კონფერენცია პეტროგრადში.

პარიზიდან „ბირჟ. ვედ.“-ის ატყობინებენ: გაზეთი „ჟურნალ“-ი ჰგობს პეტროგრადში გამართულ ოთხთა შეთანხმების კონფერენციაზე და ფიქრობს, რომ ეს უკანასკნელი კონფერენცია იქნება გაზაფხულის კამპანიის დაწყებამდე. გაზეთის სიტყვით დიდი ზარალი და ვნება მოუვიდა ოთხთა შეთანხმებას უწინ, რადგანაც კამპანიის დაწყებას ასეთი კონფერენცია წინ არ უძღოდა.

დერნბურგის აზრი ვილსონის დეკლარაციაზე.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ში მოთავსებულია გერმანიის ახალშენების ყოფილ მინისტრის დერნბურგის წერილი, რომელშიაც იგი ეხება ვილსონის სენატში წარმოთქმულ დეკლარაციას. დერნბურგის აზრით ვილსონმა იდეალი დახატა, რომლის განხორციელებას ოცნებობს, ნაცვლად ევროპის დაცემულ ეთიკისა. დერნბურგი ამბობს, რომ უადგილოა გერმანიისადმი მიმართვა უგამარჯვებო ზავზე; ასეთი წინადადებით ვილსონს ოთხთა შეთანხმებისათვის უნდა მიემართა. დასასრულ დერნბურგი ამტკიცებს, რომ სწორედ ვილსონის მიერ წამოყენებულ ეროვნულ პრინციპის ძალით ალზას-ლორენი გერმანიას უნდა ეკუთვნოდეს და არა საფრანგეთს, ასევე უნდა იყოს პოზნანი და შლეზვიგი, სადაც გერმანელი მცხოვრები ბევრით მეტია ვიდრე პოლონელი და დანიელი.

ამერიკაში.

ვაშინგტონიდან „რუსკია ვედომოსტი“-ს ატყობინებენ: პალატის საზღვაო კომისიამ ნება დართო აგებულ იქმნას სამი ჯავშოსანი გემი, თითო 52 ათასი ტონა წყალტევისა და 23 კვანძის სისწრაფისა. გემები შეიარაღებულ იქნებიან 12 და 16 დუიმიანი ზარბაზნებით.

ნიუ-იორკიდან იუწყებიან, რომ გამომძიებელ კომისიას ერთმა მოწმემ განუცხადა, გერმანიის საელჩომ ვილსონის ნოტის შინაარსი ბევრით ადრე იცოდა, ვიდრე იგი გამოაქვეყნებდაო.

გერმანია და შვეიცარია.

გაზ. „რეჩში“ მოყვანილია ცნობები თუ რამდენად დიდი გავლენა აქვს გერმანიას შვეიცარიის ეკონომიურ ცხოვრებაზე. როგორც ვიცით გერმანიასა და შვეიცარიის შორის დადებულია სავაჭრო ხელშეკრულება, რომლის ძალით გერმანიას შვეიცარიაში შეაქვს ნედლი მასალა და შვეიცარიის ქარხნები ვალდებულნი არიან ამ ნედლი მასალისაგან დამზადებული იარაღი და სამხედრო ნივთები მხოლოდ გერმანიას მიჰყიდონ. გერმანია ვალდებულია შვეიცარიას საკმაო ქვანახშირი მიაწოდოს. შვეიცარიის ქარხნების მეტი ნაწილი, სადაც ერთობ 4000 მუშა მუშაობს ამ ჟამად გერმანიისათვის იარაღს ამზადებენ: ერთმა სამრეწველო ამხანაგობამ ციურიხთან ახლოს ალტშტეინში დიდი ქარხანა გახსნა და აქ გერმანიისათვის ყუმბარებს ამზადებენ. მეორე ქარხანამ, რომელიც შაფჰაუზენშია გერმანიას დაუმზადა წყალქვეშა ნავებისათვის 300 მოტორი. გერმანია ცდილობს, რომ ეს ქარხნები მუშა ხელის მხრით უზრუნველჰყოს და მუშებს დიდს ხელფას აძლევს. განზრახულია აგრეთვე სავალდებულოდ გახადონ ქარხნებში მუშაობა შვეიცარიაში მცხოვრებ გერმანელებისათვის. ოთხთა შეთანხმებამ უსათუოდ ანგარიში უნდა გაუწიოს შვეიცარიის ქარხნების ასეთ ინტენსიურ მუშაობას და ეცადოს რაიმე პირობა დასდოს შვეიცარიასთან, მით უმეტეს რომ გერმანია თავის დაპირებას ვერ ასრულებს და შვეიცარიას საკმაო ქვანახშირს ვერ აწვდის, რამაც შვეიცარიაში პირდაპირ კრიზისი გამოიწვია, ამ გარემოებამ შეიძლება მეტად მძიმე პირობებში ჩააგდოს შვეიცარია, თუ მას საერთო მობილიზაცია მოუხდა.

გერმანელ დიპლომატების თავის მოყრა.

შვეიცარიაში მრავალი გერმანელი დიპლომატი მოსულა. მათ შორის არიან ბიულოვი, გოლუხოვსკი და მრავალი სხვანი. მოელიან ჯავიდ-ბეის და საქსონიის პრინცს იოანეს.

ინდოეთის ნაციონალისტები.

სტოკჰოლმიდან „რუსკაია ვოლია“-ს ატყობინებენ: ინდოეთის ნაციონალურ კომიტეტის მემარცხენე წევრებს ვილსონისათვის სამადლობელი დეპეშა გაუგზავნიათ მის მიერ სენატში წარმოთქმულ დეკლარაციის გამო, ავტორები მხურვალედ მოუწოდებენ ვილსონს და იმედს გამოსთქვამენ, რომ ვილსონი დახმარებას გაუწევს ინდოეთის ერის სრულს განთავისუფლებას და კეთილ მომვლის შექმნას.

პოლონეთა საწინააღმდეგო კანონების გაუქმება.

პოზნანში პოლონელების ახალი პოლიტიკური პარტია დაარსდა და თავის მიზნად გაკატისტებთან ბრძოლა დაისახა. პარტია ეცდება პოზნანში მცხოვრებ პოლონელების პოლიტიკურ-ეროვნულ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. პარტიის ორგანოდ გახდა გაზ. „გაზეტა ნაროდოვი“. ამ გაზეთის ცნობით ბერლინში წინასწარი მუშაობა დაიწყო, რათა გაუქმებულ იქმნას პოლონელების წინააღმდეგ მიმართული კანონები, მეტადრე სასკოლო საქმეში.

გალიციის საკითხი.

კოპენჰაგენიდან „რუსკაია ვოლია“-ს ატყობინებენ: მოსალოდნელია რომ აწ დამყარებული ავსტრია-უნგრეთში სიწყნარე მთავრობის ენერგიულ მუშაობით შეიცვლება. ერთად ერთი შემაფერხებელი მიზეზი გალიციის საკითხია. ამის შესახებ გამუდმებული მოლაპარაკება აქვთ პოლონელებთან. ამბობენ პოლონელები მზად არიან ოთხი მილიარდი მისცენ ავსტრიას გალიციის გამოყოფაში. მაგრამ მთავრობა ყოყმანობს და ფიქრობს, რომ გალიციის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა უკეთესი იქნება ომის შემდეგ. ამასთან დაკავშირებულია ცნობა, რომ ცენტრალურ სახელმწიფოთ გადაუწყვეტიათ სულ სხვანაირად შეიმუშაონ საზოგადოდ პოლონეთის საკითხი, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც გალიციის საკითხი გადადებულ იქნება ომის გათავებამდე.

ახალი ამბავი

◆ **ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების თავშესაფარები.** წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგს დ. გ. კარიჭაშვილს მიანდო, მოახდინოს ფაქტიური რევიზია ბაქოსა და სოხუმში დაარსებულ თავშესაფარებისა და აგრეთვე შეადგინოს დაწვრილებითი ანგარიში ამ თავშესაფარებზე გაწეულ ხარჯებისა. მასვე მიენდო ბათომში თავშესაფარის გახსნა და წ.-კ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების რევიზია.

◆ **ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზ. მდივნის თანაშემწის არჩევა** გამგეობამ მომავალ სამშაბათის კრებისთვის გადასდო, ამ თანამდებობას დღემდე ოთხი კაცი თხოულობს.

◆ **სკოლების მეთვალყურის არჩევა** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ 1917 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებამდე გადასდო. ხარჯთაღრიცხვა, როგორც ვწერდით, განხილულ იქნება 5 თებერვლის საგანგებო საზოგადო კრებაზე.

◆ **მისი უმაღლესობა პრინცი ოლდენბურგელი** ტფილისიდან უკვე გაემგზავრა.

◆ **ოლქის სასამართლოს სესიები** ახალციხეს და თელავს გაემგზავრნენ, სადაც 29 იანვრამდე დაჰყოფენ.

◆ **ქალაქის საბჭოს სატყეო-საბაღოსნო კომისიას** გადაწყვეტილი აქვს, ნავთლუღში, ეგრედ წოდებულ საპოლიტეხნიკუმო მიწაზე საქალაქო ბოსტანი გააშენოს.

◆ **სიღნაღის სამაზრო ექიმი გიორგი ჯანდიერი**, როგორც სიღნაღიდან დეპეშით გვატყობინებენ, აგერ

აკაკი წერეთელი

(შემოქმედების მოკლე დახასიათება)

ორი წელიწადი სრულდება, რაც სამუდამოდ თვალები დახუჭა იმ კურთხეულმა ადამიანმა, რომლის სახელსაც ღრმა მოწიწებით იხსენიებს ყველა წერა-კითხვის მცოდნე ქართველი; ორი წელია, რაც მშობელ მიწას მივაბარეთ ბუმბერაზი ქართული სიტყვაკაზმულ მწერლობისა, რომლის დადუმებული ქნარის მხიბლავი აკორდები კვლავ ვით ცისკრის ზარის წკრიალა ხმა, მიმოიფანტება ჩვენს ტურფა ქვეყანაში, კლავ იტაცებს ჩვენს სმენას, ჰხიბლავს ჩვენ გრძნობას და კვლავ მოგვიწოდებს სამღვთო მოქმედებისათვის. აკაკი წერეთელი ის ქართველი იყო, რომელმაც დაუმსხვრეველი ხელთ უქმნელი ძეგლი ააგო თვის ხალხის გულში, ვინც თვით ამ ხალხის გულის მესაიდუმლე იყო და თვის წარმტაც სურათებში საუცხოვოდ დაგვისურათა ქართველი ერის კვნესა თუ სიხარული, შვება თუ ტანჯვა. პოეტის ხელიდან გავარდნილი კალამი ეხლაც მზადაა სისხლის ასოებით ასწეროს ჩვენი ბედის თავ-უკუღმა ტრიალი. აკაკი იმ ქართველთა სახელოვან დასს ეკუთვნოდა, რომელმაც პირველად გაილაშქრა ჩვენი ერის მესაფლავეთა წინააღმდეგ, რომელმაც პირველად გაჰკაფა ჩვენში საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნარ-ეკლიანი გზა და ჩვენშიაც შექმნა ახალი ხანა მესამოცე წლებისა, ხანა ჰუმანიურ მისწრაფებათა, განახლებისა და აღორძინებისა,

ფინნებს აქვთ ერთი მშვენიერი მოთხრობა ქვეყნად სიმღერის წარმოშობის შესახებ [1] იყო ბავში, რომელსაც გაშმაგებით სწყუროდა, უეჭველად სახელოვანი მომღერალი გამოსულიყო. ამ აზრით სცოცხლობდა იგი ბავში, ასეთი სურვილის განხორციელების მოლოდინში ატარებდა თვას წუთისოფელს. მაგრამ ბავშის საუბედუროდ, ყველა ცნობილი მუსიკოსი, რომელთაც კი მიმართა, ერთხმად აღიარებდა, რომ მისი ნიჭი სრულიად შეუფერებელი იყო ასეთი მოწოდებისათვის. გული უწყლულდებოდა ბავშს და დაუსრულებელ სევდას მოეცვა მისი არსება. ერთ დღეს ბავშთან ვინმე უცნობი მივიდა და გაიგო რა მიზეზი მისი მწუხარებისა, შორს, უსიერ ტყეში წაიყვანა და აქ სრულიად მოულოდნელად მიატოვა. გაუვალ ტყეში გზა დაბნეულმა ბავშმა უდიდესი მწუხარება განიცადა და პირველად ეს მწუხარება სიმღერაში გამოსთქვა. ხოლო სიმღერა მისი იმდენად წარმტაცი იყო, რომ უსულო საგნებიც კი სმენად გადაქცეულიყვნენ და ნიშნად ღრმა სიამოვნებისა და თანაგრძნობისა ნაზად ირხეოდნენ; ადამიანთ კი ამ მხიბლავი სიმღერის მსგავსი არა მოესმინათ რა.

ეს ლეგენდა ძალაუნებურად გვაგონებს ქართველი ერის ტანჯვა-მოსილ ისტორიას; გვაგონებს იმას, თუ, მსგავსად ზევით აღნიშნულ მუსიკოსებისა, როგორ უარჰყოფდნენ მის ღირსებას და თუ გნებავთ არსებობის უფლებასაც გაბატონებულ არსების მრავალი იდეოლოგი და „უსიერ ტყეში“ ხეტიალის დროსაც ქართველი ერის არსებობას დრო გამოშვებით მაინც ამშვენებდა „პრომეთეოსის ცეცხლით“ აღგზნებულ მომღერალთა სიმღერა, რომლის თავისებურად მშვენიერი მელოდიის ოითოეული ჰანგი უმაღლესის გრძნობით ავსებს მსმენელის სულს. ასეთ „მომღერალთა“ შორის კი ერთი ფრიად საპატიო ადგილი ჩვენს აკაკისაც ეკუთვნის. სულ სხვა პირობებში შეხვდა აკაკის ცხოვრება და მოღვაწეობა, ვიდრე იმ მადლით მოსილ ქართველთ, რომელთა შემოქმედება თავისუფალ საქართველოს ოლიმპაზე შეუფერხებლად ჰკრავდა კამარას, ხოლო დამოუკიდებლობის მოსპობის შემდეგაც კი შესძლო ქართველმა ერმა წარმოეშვა ისეთი მწერლები, როგორიც არიან: სულის ობლობის მგოსანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ქართველი ხალხის დიდი მოჭირნახულე, ილია ჭავჭავაძე და ჩვენი პოეზიის ერთი შუქურ ვარსკვლავთაგანი—აკაკი წერეთელი. და თუ მართალია ის აზრი, რომ უდიდესი ადამიანები ქვეყნად ზეციდან კი არ სცვივიან, არამედ თვით დედამიწიდან მაღლა ზეცისაკენ იზრდებიანო, მაშინ უტყუარი ჭეშმარიტებაა ისიც, რომ მათი წარმომშობი ერი ჯერ კიდევ ფრიად მდიდარია სულიერის სიმდიდრით და თვის სიღრმეში მატარებელია მრავალ კულტურულ შესაძლებლობათა.

⁂

პოეტმა რეალისტმა, აკაკი წერეთელმა თვისი შემოქმედებაში მხატვრული სინტეზი გაუკეთა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრებას. ხოლო რასაც კი შეეხო მისი მადლიანი კალამი, ყოველივე აღბეჭდილია შემოქმედების უმაღლესი ცეცხლით და გრძნეულის ენითაა გამოქანდაკებული. მრავალ მხრივი შემოქმედი იყო აკაკი, ხოლო, როგორც ლირიკოსი, იგი ძლიერ მაღლა სდგას და ამ სფეროში მისი შემოქმედება ეროვნულს ფარგალს სცილდება და მგოსანს საპატიო ადგილს ანიჭებს მსოფლიო მწერალთა პანთეონში, თვის ლირიკულ ნაწარმოებებში პოეტი აკაკი ძვირფასად გადაგიშლით ბუნების რომელიმე წარმტაც სურათით თუ საერთოდ ცხოვრებით გამოწვეულ თვის განცდათ; გადაგიშლით მგოსნის მჩქეფარე გულს და გეტყვით:

პოეტის გული
აღელვებული
ზღვისა დარია.
ზვირთებს აგორებს,
სდგამს ტალღის გორებს,
თუ ავდარია,
ღრიალ-გრიალით,
უცნაურ ძალით
ცას ემუქრება.
და მაშინ ნავი
მასზედ მბრუნავი
მისგან გაჰქრება

და მოჰყვება მგოსანი იმ მწარე გრძნობათა მხატვრულ დასურათებას, რომელნიც აღუძრა მას სატრფოს სხვაზე გაცვლამ, მეგობრის ღალატმა, გიჟური ოცნების უდროოდ შეწყვეტამ და სხვა. და თვის განცდათა დასურათებაში აკაკი ნამდვილი ხელოვანია, რომელსაც შეუმჩნეველი არ რჩება ადამიანის გულის არც ერთი მოძრაობა და რომელიც აღჭურვილია ღრმა ფსიხოლოგიურის დაკვირვებით და ჭეშმარიტად მხატვრული გულთა-მხილაობით.

ხოლო აკაკი წერეთლის შემოქმედების უმთავრესი დამახასიათებელი მხარე, თუ გნებავთ მისი სული—ეს მამულიშვილის უკეთილშობილესი გრძნობათა უშრეტი ღაღადისია. ვგონებ, დღეს საკამთო აღარ უნდა იყოს ის აზრი, რომ თითოეული მგოსანი თავის შემოქმედებაში ამხილებს ეროვნულ გრძნობათა და მისწრაფებათ და ამავე დროს კი საკაცობრიო სულისკვეთებას. დიდებული ჰეინე, მართალია გერმანულ ენაზე სწერდა, მაგრამ მის ქმნილებებში ცხადლივ შეამჩნევთ ებრაელების უსაზღვრო ეროვნულ მწუხარებას. და აკაკის მზიური სიტყვაც განსაკუთრებით მიტომ ელვარებს, რომ ქართველი ერის დაავადებულ სულის სიღრმიდან ამოდის, რომ იგი ქართველი ხალხის შვებისა დ სიხარულის, სევდისა დ მწუხარების, რწმენისა და სასოების სისხლისა და ხორცისაგან არის ასხმული.

ხოლო დიდად შესცდება ის, ვინც იფიქრებს; აკაკი წერეთელმა თავიდანვე განსაზღვრულად შემოფარგლა თვისი შემოქმედება და მასში ხაზივით გაავლო ეროვნული მიმართულებაო. ასეთი მოქმედება აქვთ უმთავრესად იმ მწერლებს, რომელთა შემოქმედებაც უფერული, სუსტი და უსახოა, თორემ აკაკი წერეთლის შემოქმედებაში ხშირად მგოსნისათვის სრულიად მოულოდნელად და მის ნების გარეშე იშლებოდნენ მხატვრული სურათები, სამშობლო ქვეყნის წარსულისა, თანამედროვე ბედშავ მდგომარეობისა, თუ მისი წარმტაცი ბუნებისაგან გამოწვეულნი. და სწორედ ამაშია აკაკის მხატვრული სალაროს სიმდიდრე და ძლიერება.

ყოველგვარი ხელოვნება და აგრეთვე ფილოსოფია და მეცნიერებაც უმაღლესი ნაყოფი არიან ადამიანის სულიერი შემოქმედებისა და, როგორც ასეთნი, იგინი, ცხად ჰყოფენ ადამიანის სულის ერთ უძლიერეს და უცხოველეს მოთხოვნილებას—მოთხოვნილებას ქმნისას. ყველა იდამიანი შემოქმედია თვის ვიწრო ფარგალში, მიუხედავად იმისა, დიდი თუ პატარა ნიჭით არის იგი დაჯილდოვებული. ხოლო ისინი კი, ვისაც ბუნებამ უხვად შთაუნერგა „ზე ქვეყნიური“ ცეცხლი ჰქმნიან იმ სულიერ ღირებულებათ, რომელნიც აუცილებლად საჭიროა ადამიანისათვის საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლაში; ამ ქმნილებათა შემწეობით შეუძლია ადამიანს სულიერი ვითარების შეწყობა და განსპეტაკება და გონებრივი ძალის დაგროვება*) ამიტომ მხატვრულ ნაწარმოებთა შესაგნებად აუცილებლად საჭიროა გვახსოვდეს, რომ **იგინი ჩვენში იწვევენ არა მხოლოდ ესთეტიურ ტკბობას, რომელიც არსებითად თანამგზავრი მომენტია, არამედ ჩვენ მიერ უკვე აღნიშნულ ღირებულებათა შექმნას**, და პოეზიაც, კერძოდ კი ლირიკა, ერთი უძვირფასესი საშუალებათაგანია ასეთის პროცესისათვის.

დ ამ მხრივ ინტერეს მოკლებული არ იქნება, თუ ძლიერ მოკლედ გავეცნობით თვით პოეტების შეხედულებას მგოსნის დანიშნულებასა და მოვალეობაზე. რუსეთის პოეტის **პუშკინის** მგოსანი წინასწარმეტყველია, რომელიც, ღვთის ნებით აღჭურვილი, მწუხარე ხმით გულს უსერავს ადამიანს. **ლერმონტოვის** პოეტიც წინასწარმეტყველია; სიმართლისათვის დევნილი, იგი ადამიანთა მოშორებით უდაბნოში დაეხეტება. **ჰენრიხ ჰეინეს** აზრით: პოეტი ღვთისაგან უმაღლესად დაჯილდოებული რჩეულია და, როგორც ასეთი, იგი პასუხს არ აგებს ადამიანების წინაშე; დემოკრატიის განვითარება სპობს პოეზიასო და ერთ ადგილას ჰეინე დაცინვით წარმოსთქვამს: **„რად უგალობ, არისტოკრატო, გარდ უმღერე დემოკრატიულ კართოფილს, რომელიც ხალხს ჰკვებსო“**. სულ სხვაა **ილია** ჭავჭავაძის მგოსანი,—იგი მოძმეა თვისი ხალხისა ჭირსა და ლხინში; მას „გულში ცეცხლის აღგზნებაც“ იმიტომა ჰსურს, რომ „წარუძღვეს წინა ერსა“ და მოსწმინდოს მას „ტანჯვის ცრემლი“. **აკაკის მგოსნის** დანიშნულებაც სილამაზისა და **სიმართლის** თავდადებული სამსახურია „რომ დაჩაგრულს მის სიმღერით თვალთ

---

[1] ეს მოთხრობა უკვე მქონდა აღნიშნული ერთ-ერთ ჩემს წერილში „სახ. გაზ.“-ის ფურცლებზე.

*) ასეთ აზრს იცავს სხვათაშორის რუსეთის ცნობილი მწერალი **დ. ოვსიანიკო-კულიკოვსკი.**

ეთერთმეტე დღეა სახადით ავად არის.

◆ **ერევნის განყოფილების** მდივანს ბ-ნ კვიტაშვილს ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ მიანდო, მოიწვიოს განყოფილების წევრთა საზოგადო კრება გამგეობის ახალ წევრთა ასარჩევად.

◆ **ხანგრძლივი მოგზაურობა.** ქუთაისის ერთ-ერთ კანცელარიაში მისვლიათ წერილი, რომელიც გამოგზავნილი ყოფილა ფოთიდან 1916 წლის 19 ენკენისთვეს.

◆ **წიგნის მაღაზიის გახსნა ველისციხეში** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ მოუხერხებლად სცნო კერძო პირის პასუხის მგებლობით. საზოგადოებაში დღემდე ისეთი წესია შემოღებული, რომ წიგნის მაღაზიები უნდა იხსნებოდეს საზოგადოების განყოფილებათა პასუხის მგებლობით. ველისციხეში კი განყოფილება არ არის.

◆ **საზოგადო კლუბი.** შაბათს, 28 იანვარს, საზოგ. კლუბში (ერევნის მოედანი, სემინარიის სახლი) ილ. ქურხული წაიკითხავს „მოხეტიალე მუსიკოსის ნაწერებიდამ“ და სკრიპკაზე შეასრულებს სხვა და სხვა მსოფლიო მუსიკოსთა ნაწარმოებს, პ. ფალიაშვილის აკომპანიმენტით.

◆ **მოსკოვის ქართული სამეცნიერო წრე.** ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გამგეობამ დაადგინა, მისალოცი დეპეშა გაუგზავნოს მოსკოვში ახლად დაარსებულ ქართულ სამეცნიერო წრეს და აგრეთვე დაუთმოს ამ წრეს უფასოდ თავისი გამოცემანი.

◆ **აკაკის გარდაცვალების ორი წლის თავი.** დღეს 26 იანვარს შესრულდა ორი წელიწადი, რაც საჩხერეში გარდაიცვალა დიდებული პოეტი აკაკი წერეთელი.

◆ **დ. ეპიტაშვილის საქმე.** 24 იანვარს საოლქო სასამართლომ გაარჩია დიმ. ეპიტაშვილის საქმე, რომელსაც ბრალდება ტფილ. ღარიბ მოწაფეთა თ. აზ. საზოგადოების (ქართ. გიმნაზიის) ფულის გაფლანგვა. სასამართლომ მიუსაჯა ყოველი ღირსებისა და უფლების აყრა და 8 თვით დატუსაღება.

◆ **სამხედრო ბეგარა.** შეღავათის აღმომჩენი საქალაქო კომიტეტი გუშინ იმ დაწესებულებათა სიების შემოწმებას შეუდგა, რომლის მოსამსახურეთაც შეღავათი აქვთ მიცემული.

◆ **სახალხო სახლი.** დღეს საღამოს სახლ. სახლ. არსებულ ქართ. წარმ. მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება შილლერის ტრაგედია „ყაჩაღები“, დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ადგილები სახალხოა.

სოფლად და ქალაქად

ქუთაისი.

◆ რაკი ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებით ძალზე შემცირდა გაზეთ „სამშობლოს“ ტირაჟი (იბეჭდება 300 ცალი, სადგება 237 ცალი) და გამომცემელმა ამხანაგობამ ვერ შესძლო მისი შენახვა, ამიტომ, როგორც გადმოგვცეს, ხსენებული გაზეთის კოლეგიის თხოვნით მიუმართავს „საქართველოსთვის“ დაგვეხმარეთო. „საქართველოც“ დაჰპირებია „სამშობლოს“ დახმარებას იმ შემთხვევაში თუ გაზეთის ხელმძღვანელობისაგან ბ-ნ ი. ეკალაძეს განთავისუფლებდნენ. კოლეგია იძულებული ყოფილა „საქართველოს“ წინადადება მიეღო და ამიტომ ამ ჟამად გაზეთის ხელმძღვანელად ნ. ლორთქიფანიძეა მიწვეული.

◆ ტფილისის სამოსამართლო პალატასთან არსებულ ვექილთა საბჭოში ქუთაისის ვექილები ხმის უმეტესობით ასახელებენ ნაფიც ვექილს კ. მ. ქიქოძეს. იგი ჯერ სულ ახალგაზდაა და ერთ საუკეთესო ვექილად ითვლება ქუთაისში და მასთან დიდი ნდობა აქვს დამსახურებული თვის ამხანაგთა შორის.

თელავი

◆ წ. კ. საზოგადოების თელავის განყოფილება თავის სკოლის სასარგებლოდ 10 თებერვალს ჰმართავს საღამოს.

◆ თელავი კვლავ პურის კრიზისს განიცდის. რადგანაც ბაზარში პური აღარა ცხვებოდა თელავის შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობის გამგეობამ გადასწყვიტა კავშირისგან მიღებული 1 ვაგონი ფქვილი მეპურეებს გამოუზოგოს. ამის შესახებ ამხანაგობის თავმჯდომარე გ. ბურჭულაძემ მოიწვია მეპურეები მოსალაპარაკებლად, სადაც გადასწყვიტეს ვის რამდენი ფქვილი მიეცემა.

◆ 21 იანვარს შემნახველ-გამსესხ. ამხანაგობის თავმჯდ. გ. ბურჭულაძე ტფილისს წავიდა მოსკ. სახალხო ბანკის მიერ გამართულ კრებაზე დასასწრებლად.

◆ ლურჯ ბილეთიანების ჯარში გაწვევა გათავდა და ეხლა მხოლოდ უკან ჩამორჩენილები ცხადდებიან.

◆ თელავის მაზრის ჯარში გასაწვევ შეღავათის მიმცემმა კომიტეტმა უკანასკნელ კრებაზე ბევრს გაუუქმა მიცემული შეღავათი, რის გამოც ბევრ სოფელში წვრ. კრედიტის და მომხმ. დაწესებულებების წარმოება შეფერხდება.

ზესტაფონი.

◆ ადგილობრივმა საზოგადოებამ გადასწყვიტა დაარსოს მევენახეობის, მეღვინეობის, მებაღეობის და მეაბრეშუმეობის სასწავლებელი. აურჩევიათ საგანგებო კომისია ხარჯთაღრიცხვის შესადგენად. 10 თებერვალს გაიმართება ამ საქმისთვის საზოგადო კრება.

ბაქო

◆ ბაქოს გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი განცხადება ქალაქის უფროსის კოვალიოვისა: მეფის ნაცვალმა ბაქოს საგრადონაჩალნიკოში გენერალ-გუბერნატორის უფლებები მომანიჭა. 17 იანვარს სოფ. საბუნჩში დაპატიმრეს კრება, 25 კაცისაგან შემდგარი, რომელთა შორის იყო ერთი არა მუშა. 18 იანვარს ნობელის ქარხანასა და შავ ქალაქში მუშები გაიფიცნენ. როდესაც ჩემი თანაშემწე პოლკოვნიკი ოლონგრენი და საფაბრიკო ინსპექტორი შამონინი შეეკითხნენ მიზეზს—მუშებმა განაცხადეს—ჩვენი ამხანაგების დაპატიმრების გამო გავიფიცენითო. ჩემის განკარგულებით, მუშებს განუცხადეს, რომ დაპატიმრებული მუშების საქმეს საჩქაროდ გაარჩევს ჟანდარმერია და ვინც უდანაშაულო აღმოჩნდება ყველას გაანთავისუფლებენ. ჩემი დაპირება ავასრულე, საქმე 18 იანვარსავე გავარჩიეთ დაპატიმრებულებში თოთხმეტი კაცი გაანთავისუფლეს. დანარჩენების საქმეც საჩქაროდ გაირჩევა და ამიტომ მუშებს წინადადებას ვაძლევ მუშაობა დაიწყონ და სჯეროდეთ, რომ ადმინისტრაცია კეთილად მოექცევა. თვით მუშათა ინტერესების სახელით ვლაპარაკობ და წინადადებას ვაძლევ მათ პოლიციის ნებადაურთველად კრებები არ გამართონ.

კოოპერაცია და ქალი

3.

უნდა შევეცადოთ სექტანტურ, პარტიულ და სქესობრივ დანაწილების პრინციპს ავცდეთ ეხლავე, თუ ყალბი პრინციპი დავიცავით კოოპერაციაში, ვნებას მოუტანთ ქალებს და მაშასადამე ჩაგრულ კაცობრიობის განთავისუფლების საქმეს. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა არის კოოპერაცია; კოოპერაციის ყველა პრინციპი არ ჩაგვინერგავს გულის სიღრმეში, თუ შევისისხლხორცებთ კოოპერატიზმს მოქალაქობრივი ალღო გაიღვიძებს ჩვენს არსებაში, ღირსების გრძნობა გაიშლება და სათანადო მუშაობა გაჩაღდება ცხოვრებაში. ვსთქვით, კოოპერაცია არც სქესის საკითხია, არც მოდგმის, არც პარტიის, არც ხელობის და არც სარწმუნოების. მაშ ვის და რას ემსახურება კოოპერაცია? მუშას?—არა; კაპიტალისტს? — არა; ვაჟს? — არა; ქალს?—არა; კოოპერაციის საძირკველი ყოველ არსებულ წრეზე **დაჩაგრული** წრეა. კოოპერაცია იმათი საფუძველია, ვინც ყველაზე მეტად დაჩაგრული და შევიწროვებულია. ასეთი კი ეხლანდელ სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში მხოლოდ **მომხმარებელია.** არსებულ კლასებს შორის ყველაზე დატანჯული მუშათა კლასია. მაგრამ თუ მუშათა კლასი იჩაგრება წარმოების წიაღში, სიმდიდრის განაწილების დროს, ესე იგი, როგორც მომხმარებელი, ის კიდევ მეტად იჩაგრება. **კოოპერატიზმის სუბსტანცია—მომხმარებელია** და ამ საფუძვლის დახსოვნება მეტის მეტად საჭირო და სასარგებლოა. კოოპერაციის ამ ელემენტის მკაფიოდ გამოხატვა საფრანგეთის ეკონომისტს შარლ ჟიდს ეკუთვნის. კარლოს მარქსმა გამოაშკარავა, რომ მუშა იფცქვნება კაპიტალის მეოხებით **წარმოების** დროს, შარლ ჟიდი მიდის კიდევ უფრო შორს, ითვალისწინებს საქონლის განაწილების საქმეს და ხედავს, რომ მუშა კიდევ მეტად იტანჯება საქონლის გასაღების დროს, როგორც მომხმარებელი. „კოოპერაციაში“ შ. ჟიდი სწერს: „ჩვენ ვდგევართ საკოოპერაციო თვალსაზრისზე იმიტომ, რომ **მომხმარებელი** არსებულ წესწყობილებაში უფრო დაჩაგრულია ვიდრე მუშათა კლასი, რომ სოციალური განთავისუფლება **მომხმარებლიდან** უნდა დავიწყოთ“ (გვ. 240). ამნაირად, კოოპერაცია ახალი უდიდესი საზოგადოებრივი მოძრაობაა, რომელიც აღმოცენებული და დაფუძნებულია საზოგადოების ყველაზე მეტად დაჩაგრულ და შევიწროვებულ, მაგრამ ფრიად ფართო წრეზე, რომელსაც მომხმარებელი ეწოდება. მომხმარებლის განთავისუფლება—აი კოოპერაციის უმთავრესი მიზანი და ეს ნიშნავს განთავისუფლებას არა მარტო მამაკაცების, არამედ დედაკაცებისაც, არა მარტო ქრისტიანის და მაჰმადიანის, არამედ ყოველ სარწმუნოების, რწმენის და მიმართულების დაჩაგრულ ძალების.

მიაქციეთ ყურადღება საზოგადოებრიობის განვითარებას. მონობის დროიდან კაცობრიობა მოისწრაფის თავისუფლებისაკენ. პროგრესიული ჯგუფები სხვა და სხვა საშუალებებით ფიქრობდნენ საოცნებო მიზნების განხორციელებას. რომ სქემატიურად წარმოვიდგინოთ ფორმები ამ საშუალებათა, დავინახავთ, რომ საზოგადოებრივ ბრძოლას ჰქონდა შემდეგი ხასიათი: 1) ჯგუფური, 2) პარტიული, 3) სარწმუნოებრივი და 4) ეროვნული. მაგრამ საზოგადოებრივ ძალთა ასეთ ორგანიზაციით ვერ მოხერხდა ნამდვილ თავისუფლების მოპოვება. არსებულ წესწყობილებას ვერ დასძლევს ვერც პარტია და ვერც სარწმუნოება; თვით ეროვნული ჯგუფიც არ არის ამისათვის საკმაო, რომელიც ჰფარავს პარტიასაც და სარწმუნოებასაც, სქესსაც და ხელობასაც. მთელი ხალხის შემოკრება და ამოძრავებაა საჭირო და სწორედ ამ საჭიროების გამომხატველი და შემძლებელია კოოპერაცია. საფრანგეთის უტოპისტები ბაბეფიდან დაწყებული ბლანკამდე ცდილობდნენ ვიწრო წრის ძალის მეოხებით გარდაექმნათ არსებულ წეს-წყობილების მახინჯი ზღუდენი. როდესაც კარლოს მარქსმა ვიწრო წრის გეგმა მთელ კლასის, მუშათა კლასის ძალას დაამყარა,—გამოაცხადეს: ამიერიდან სოციალიზმმა მეცნიერული ხასიათი მიიღო და რეალური საფუძველი იპოვნაო. დღეს კი—კოოპერაციის განვითარების შემდეგ—ჩვენ უნდადავინახოთ, რომ მარქსიზმიც ისევ უტოპისტური მიმართულებაა არსებითად, როგორც ოუენიზმი, ფურიერიზმი, პრუდონიზმი და ბლანკიზმი; იმიტომ, რომ კოოპერაციამ კლასზე უფრო ფართო მასას დაამყარა იმედი, საზოგადოების ზრახვათა განაღდება დააკისრა მომხმარებელს, ესე იგი მთელ ხალხს. მაშასადამე კოოპერაციით საზოგადოებრივი ბრძოლა უფართოეს და უდიდეს ხასიათს ღებულობს. დიაღ, კოოპერატიული მოძრაობა პარტიული მოძრაობა კი არ არის, იგი უმთავრესად ხალხოსნური მოძრაობაა, მას არ შეუძლიან მოინელოს აგრეთვე სივიწროვე სარწმუნოებრივ და ეროვნულ ზღუდეთა. ამნაირად, დღემდე თუ საზოგადოებრივი კეთილდღეობის განხორციელება არ მოხერხდა იმიტომ, რომ აღმსრულებელთა ძალა სუსტი იყო და მცირე რიცხოვანი, ამიერიდან საზოგადოებრივ ცხოვრების გარდაქმნას ცდილობს მთელი **ხალხი**, მომხმარებელნი, კოოპერაციაში მოქცეულნი და ამნაირად მომავალ ცხოვრებას უმეტესი ძალა ენიჭება.

შარლ ჟიდმა, რომელმაც საფუძვლიანად წამოაყენა უდიდესი მნიშვნელობა **მომხმარებლისა**, კარგად იცოდა, რომ ეს ნიშნავდა საზოგადოების კეთილდღეობისათვის მთელ ხალხის ამოძრავებას. „დღეს, როცა ეკონომიური წეს-წყობილება მოწყობილია **წარმოების სასარგებლოდ**, კანონებს **კაპიტალი** აწესებს, ხოლო მუშა ხდება უბრალო იარაღი. სამაგიეროდ, როცა ეკონომიური წყობილება დაემყარება მომხმარებელს, მაშინ კანონს შექმნიან **მრავალნი**, ესე იგი ხალხი“ („კოოპ.“ გვ. 97). კოოპერაცია ეხლა ამ მრავალთა თავის მოყრა და მათი შემოქმედების გაჩაღებაა. გამრავლება კოოპერატივების და საკოოპერაციო კავშირებისა ხალხის გაბატონებაა სახელმწიფოსა და ეკონომიურ ცხოვრებაში.

ცხადია, ჩვენი მუშაობაც მხოლოდ ამ ხასიათის, ესე იგი ხალხოსნური შეიძლება იყოს. და რამდენადაც მართლა კოოპერატიულ-ხალხოსნურ ალღოს გამოვიჩენთ, იმდენადვე ღრმად შევიჭრებით ცხოვრებაში და მეტ უფლებასაც მივიღებთ სახელმწიფოში.

კოოპერაციას ჩვენთვის ყოველ მოვლენაზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენში მრეწველობაზე ლაპარაკობენ, სოფლის მეურნეობასა და პოლიტიკურ-ლიბერალურ წეს-წყობილებაზე. მაგრამ თანამედროვე ცხოვრებას თუ ალღო არ ავართვით, თუ არ გამოვიყენეთ კოოპერაციის ძალა, ვერც მრეწველობას გავიჩენთ და ვერც თავისუფლებას. მრეწველობას ჩვენ მსხვილი კაპიტალის მეოხებით ვერ განვავითარებთ, ასეთი კაპიტალი არ მოგვეპოვება და ამ ხრივ ჩამოვრჩებით მეზობელ სახელმწიფოებს. მაგრამ ამ მხრივ უდიდეს ნაბიჯის გადადგმა შეგვიძლიან კოოპერაციის საშუალებით. კოოპერაცია წვრილ ხალხთა მობილიზაციაა, მცირე შეძლების მოგროვება და ერთად შეკუჩებაა, ესე იგი მსხვილი მრეწველობის გაჩაღებაა კოოპერაციის და დემოკრატიის საშუალებით. სასოციაციო იდეის აღმოჩენა შარლ ფურიეს მეცხრამეტე საუკუნის უდიდეს აღმოჩენად მიაჩნდა. ამის გამო ერთ თავის „შესხმაში“ ფურიე ამბობდა: „ჩემს ცხედარს კაცობრიობა ცრემლს დააფრქვევს, ნაპოლეონისა და ცეზარის სახელზე მეტად შემოსავს ჩემს სახელს და სახელოვან პანთეონში დამასაფლავებსო“. ფურიეს ოცნება არ გამართლდა, პანთეონის ნაცვლად საფრანგეთმა მონმარტრის სასაფლაოზე გაუჩინა მყუდრო ბინა, მაგრამ დღეს ჩვენ უნდა ვგრძნობდეთ ყველანი, რომ საკოოპერაციო მოძრაობის გაჩარხვა მართლა აღემატება ყველა სისტემას საზოგადოებრივ მოძრაობისას. ამ მოძრაობით განსაკუთრებით სარგებლობენ პატარა ერები და ამტკიცებენ ეროვნულ ცხოვრებას. ჩვენი ხალხი წვრილი ქონების ხალხია, ჩვენი სოფელი წვრილი მესაკუთრეობის სოფელია და ასეთ ქვეყანაში ჩვენ ვერ ვღირსებით ვერც ელექტრონს, ვერც ორთქლს და ვერც ინტენსიურ მეურნეობას თუ კოოპერაციის უდიდეს ძალას არ მივმართეთ. პროფესორი ანციფეროვი გვეუბნება, რომ სამეურნეო კულტურის ავტორების ძალას, ძალას ტაერის, შუბარტის, ლიბიხის, ვაგნერისა და გრანდოს ვერ გამოვიყენებთ თუ კოოპერაციას არ მივმართეთ. კოოპერაცია მსხვილი წარმოებაა წვრილი ხალხის ქონებით შესრულებული, ეს სააქციონერო ამხანაგობაა თანხით, რომელსაც წართმეული აქვს აქციონერთა ბურჟუაზიული პრინციპები. ბელგია, დანია და იტალია ეხლა უღარიბესი ქვეყნები იქნებოდნენ ევროპაში კოოპერაციის ძალისათვის რომ ხელი არ გაემართათ. წვრილი ერებისა და წვრილი მფლობელობის ქვეყნებში უფრო ნაყოფიერად ვითარდება კოოპერაცია. დანიაში რძისა და ერბო-ყველის კულტურა მეტის მეტად არის განვითარებული. ამ მხრივ ევროპაში მას პირველი ადგილი უჭირავს. მეურნეთ, რომელთაც აქვთ 0—5 ჰექტარიდან 30—60 ჰექტარამდე მიწა კოოპერაციაში უჭირავს 90,5%, ხოლო მსხვილ მიწის-მფლობელს 60—120 ჰექტარიდან 240-ზე მეტ ჰექტრამდე რაღაც 9,5%! და ამას შემთხვევითი ხასიათი კი არ აქვს. კოოპერატიული მეურნეობა მთელ დანიას ეხება, ასე მაგალითად 3 მილიარდ კილოგრამიდან კოოპერატიულ ორგანიზაციებს 2 მილიარდი კილოგრამი ეკუთვნოდა. კოოპერაცია ძლიერდება წვრილ მეურნეობის ქვეყნებშიაც, წვრილი წარმოება კოოპერაციის საშუალებით ფეხს იკიდებს და ძლიერდება· ჩვენ არ მოგაბეზრებთ თავს სამისო სტატისტიკურ ცნობათა მოყვანით. თუ ვეხებით კოოპერაციის ძალას წვრილ მეურნეობაში, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს პირდაპირ ჩვენ გვეხება და საინტერესოა ვიცოდეთ, ჩვენს ქვეყანას შეეგუება და შეეფერება თუ არა იგი? და საერთოდ, წვრილ მეურნეობისა და კაპიტალის ქვეყანაში კოოპერაციას რა ძალა აქვს. ჩვენში არიან მოაზრენი, რომელთაც სწამთ, რომ წვრილი მეურნეობა და მრეწველობა უეჭველად დაიღუპება, რომ მას ვერავითარ სამსახურს გაუწევს ვერავითარი ძალა და ვერც კოოპერაცია. ჩვენ ვერ დავემყარებით ასეთ შეხედულებას. კოოპერაციის მკვლევარნი, რომელნიც მეცნიერულად და სტატისტიკურად იკვლევენ კოოპერაციის მნიშვნელობას წვრილ მეურნეობის და ქონების ქვეყანაში, ამბობენ, რომ კოოპერაცია ანვითარებს ხალხს და საერთოდ სამეურნეო შემოქმედებას. დავუგდოთ ყური ტუგან-ბარონოვსკის: „ვუწევთ რა ანგარიშს რეალურ ფაქტებს, უნდა აღვიაროთ, რომ კოოპერაცია კი არ სპობს გლეხის მეურნეობას, არამედ ამტკიცებს“, (501), რომ „გლეხების კოოპერაცია არა თუ აძლიერებს ეკონომიურ კეთილდღეობას, არამედ იწვევს მის გარდაქმნასაც. კოოპერაცია ჰქმნის ახალ ხასიათის გლეხ-კაცს, რომლის მსოფლმხედველობა ფართოა და გაშლილი“ (გვ. 368). საერთოდ—ამტკიცებს იგი პროფესორი — „კოოპერაციას არ შეუძლიან გლეხ-კაცობის დასუსტება“ (გვ. 367). ამ აზრს ამტკიცებს ყოველი შეგნებული კოოპერატორი და გამოჩენილი ეკონომისტი. ედუარდ დავიდს მრავალი სტატისტიკური მასალა მოჰყავს ამ შეხედულების დასამტკიცებლად. პროფესორი ანციფეროვი ელექტრონის გავრცელების ისტორიას მოგვახსენებს და სტატისტიკურის ანგარიშით გვიხსნის, რომ გერმანიაში სოფლად ელექტრონს უმთავრესად გლეხკაცობა და წვრილი მეურნენი იყენებენ. გერმანიაში ფრიად გავრცელებულია საელექტრონო მოტორი, რომლის სიმძიმეს ორი ქალის ღონე სძლევს და ადვილად ამოძრავებს ჩვეულებრივ გუთანს. ანციფეროვის გადმოცემით დერენბურგის ამხანაგობიდან სოფლის მეურნეთ ჰქონებიათ 13.135 ლამპა 433 კილოუატ ღონისა, ხელოსნებს კი 7.743 ლამპა 255 კილოუატისა. მეურნენი ხმარობენ მოტორს 2.475 ცხენის ძალისას, ხელოსნები კი მხოლოდ 585 ცხენის ძალისას. საყურადღებო ის არის, რომ სოფელთ ელექტრონის ენერგია უჯდებათ უფრო იაფად ვიდრე ქალაქებს თუმცა ქსელის გამართვა სოფლად ქალაქზე ძვირი ჯდება (ანც. 263).

კოოპერაციისა და ასოციაციის საშუალებით ელექტრონი შედის არა მარტო სოფელში და სოფლის მეურნეობაში. ესე იგი, არა ეკლესიისა, კლუბებისა, გზებისა, სახნისებისა და მანქანების სასარგებლოდ, ოჯახებშიაც იკიდებს იგი ფეხს და სრულიად სცვლის ოჯახის წეს-წყობილებას. ელექტრონით ღეწენ და ასუფთავებენ პურს, ელექტრონით გადააქვთ ხორბალი, ელექტრონით ანათებენ ბინას, მაგრამ ეხლა ელექტრონით ათბობენ დარბაზებს და სამზარეულოშიაც იყენებენ მის ძალას. რა სისუფთავე, ძალის ეკონომია და კულტურა უნდა განმტკიცდეს სოფლად ასეთ ინტენსიურ მეურნეობის შემოღების შემდეგ. შარლ ფურიე ამბობდა თავის დროზე: რამდენადაც ნაკლები ავადმყოფები იქნებიან ქვეყნად იმდენად მეტი ჯილდო უნდა დაენიშნოს ექიმებსო. ამ პოლიტიკას რომ ეხლა დავადგეთ ექიმებიც სიმშილით მოკვდებიან და ქვეყანასაც გააავერანებს სნეულებანი. მაგრამ კოოპერაციით შესაძლებელია ფურიეს პოლიტიკის განხორციელება და ჩვენ მართლა მივიღებთ დოვლათს, ძლიერებას, ჯანმრთელობას და სნეულობის აღგვას. მაშინ ხალხიც გამრავლდება და განმტკიცდება მთელი ეროვნული ცხოვრებაც.

თედო ღლონტი.

თურქების პრესა

თურქული გაზეთი „ბესირეთ“-იც გამოეხმაურა „ქართველებისა და მაჰმადიანების დამოკიდებულების“ საკითხს და შემდეგი წერილი უძღვნა:

ამ უკანასკნელ დღეებში ტფილისის ქართულ გაზეთებში და ბაქოს თურქების გაზეთებში და აგრეთვე ვერმიშევის „ბაქო“-ს გაზეთში სხვა და სხვა წერილი დაისტამბა და კამათი გაიმართა ქართველთა და მაჰმადიანების ურთიერთობის შესახებ. ზოგიერთები მეტად მწვავე კილოთი სწერენ. ცეცხლზე ნავთის გადასხმასაც კი არ მოერიდნენ. ამას ის მოჰყვა, რომ ვერმიშევის „ბაქო“-მ მედიდურად წამოიძახა: „ქართველობა და მაჰმადიანობა რა იქმნა, თქვენი ძმობა და ერთობა სადაა, თქვენი ძმობა ასე მალე უთანხმოებად გარდაიქცაო!..“ გარემოებით ისარგებლა და აღშფოთებისა და ძრახვის ისრებს ისვრის...

ქართველებსა და მაჰმადიანებ შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება სამწუხაროა. თქმა არ უნდა, ქართველ და მაჰმადიან საქველმოქმედო საზოგადოებების ასეთს გამწვავებულ დროს ასეთი საკითხის გავრცელებისათვის გზა არ უნდა მიეცათ. მიტომ, რომ ეს უთანხმოება არც მაჰმადიანებისათვისა და არც ქართველებისათვის სასარგებლო არაა. მაჰმადიანებსა და ქართველებ შორის რაკი ძმური დამოკიდებულება ჰსუფევს, ქართველებსა და მაჰმადიანებ შორის ფესვგადგმული მეგობრული ურთიერთობა, ასე უმნიშვნელო და ადვილად გადასაწყვეტი საკითხისათვის არ უნდა დაირღვეს. როგორც ბ. სულთანოვისა, ისე სხვა საზოგადო მოღვაწეებისაგან ბევრჯერ გაგვიგონია, თუ რა დახმარება აღმოუჩინეს მაჰმადიანებს ჩვენზე ადრე ყარსის უბედურებისა და შავი დღეების დროს ჩვენი საერთო სამშობლოს შვილებმა ქართველებმა. სხვა კიდევ რამდენი თანაგრძნობა გამოგვიცხადეს და დაგვიცვეს!

ქართველების გამოცხადებულ თანაგრძნობას მაჰმადიანები წრფელის მეგობრობით აფასებდნენ. ეჭვს გარეშეა, ამ წრფელი დამოკიდებულების შერყევასაც ყოვლის უწინ მაჰმადიანები სწუხან. ზოგიერთი ქართველი ფანატიკოსის და მღვდლის შეუსაბამო პოლიტიკის მიზეზით ეს მეგობრობა არ უნდა დაირღვეს. მაგ ჯურის ქართველ ფანატიკოსებმა უნდა იცოდნენ, რომ სარწმუნოების თავისუფლების შელახვით დაცული არ იქნება პრინციპი „შენ თავისუფლად იცხოვრე და სხვებსაც მიეც ამის ნებაო“. ჩემის აზრით ქართველ და მაჰმადიან საქველმოქმედო საზოგადოებათათვის ამ უთანხმოების მოსპობა ისე ძნელი საკითხი არ არის. ეროვნების დასაცავად აჭარლებისათვის თუ ქართული სკოლა არის საჭირო, მათი სარწმუნოებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაც მაჰმადის მოძღვრების შესწავლა არის აუცილებელი. (მერე ვინაა ამის წინააღმდეგი და არ ასწავლიან მაჰმადის რჯულს ქართ. საქვ. საზოგადოების სკოლებში? „სახ. ფურ.“) ეს ქართველმა და მაჰმადიან საქველმოქმედო საზოგადოებებმა უნდა იცოდნენ. ჩვენი შეხედულებით თუ ქართულ სკოლებში შარიათის მაჰმადიანი მასწავლებლები იქნებიან განწესებულნი, ეს საკითხი მოისპობა...

სომხური პრესა

ოსმალეთის გამოქცეულ სომხების ორგანო „ვანტოსპი“ ეხება სომხებში არსებულ ჯგუფებს და შემდეგ მოსაზრებას გამოსთქვამს:

რუსეთის სომხებში არაა პოლიტიკური პარტიები, არამედ მხოლოდ სა-

ცრემლები ეშრობოდეს და მჩაგვრელს კი გულში ძგერით ისარივით ესობოდეს“. „გაუქვავდეს პოეტს ენა, თუ რომ ვისმე მოეფეროს და გაუხმეს მარჯვენა, თუ სიმრუდით სიმთ ეჟღეროს“. აკაკის პოეტი მოუსვენარი „ფუტკარია“, „ზღვის მუშა“, „ხატის ბუზი“, რომელიც ღვთისა და კაცის სასარგებლო საქმეს ეწევა და არ ზოგავს მხოლოდ მათ, ვინც ასეთ შრომაში ხელს უშლის. უფრო ვრცლად შეხედულება მგოსანზე აკაკის გამოუთქვამს ლექსში: „პოეტი“.

„ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი, ხან
არც ესა ვარ, არც ისა!
გარემოების საყვირი, არც მიწისა
ვარ, არც ცისა...
ეს გული, სარკედ ქცეული **ბუნების
ნათავხედია**
მხოლოდ მის სახეს გიჩვენებსთ,
რასაც შიგ ჩაუხედია
ენაც მას ამბობს, *) **რაც სმენას
სხვისგან გაუგონია,**
ან თვალს უნახავს **და ჰკუას გაუზომ-აუწონია**
თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ,
სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისა“.

ამ სიტყვებში გამოთქმულია უკვე ულტრა-რეალისტური შეხედულება მგოსნის შემოქმედებაზე. იგი არსებითად „გარემოების საყვირია“ და მხოლოდ იმას იმეორებს, „რაც სმენას სხვისაგან გაუგონია, ან თვალს უნახავს და ჰკუას გაუზომ-აუწონია“. ცხადია, ასეთი შეხედულება თავისთავად ვერ არის სიმართლე. განა ყველა, ვინც შეიძლება გახდეს „გარემოების საყვირი“, ამავე დროს პოეტიც იქნება?! და ან კი რას ნიშნავს ეს „გარემოების საყვირად“ გახდომა? ხელოვნება უმაღლესი გამოცხადებაა ცხოვრებისა და მისი სამსახური ყველასათვის მისაწდომი არ არის. ამ აზრს პირველად ყოვლისა თვით აკაკის შემოქმედება ამტკიცებს სიმართლესთან ახლოს ის უფრო არის, რომ პოეტს აკაკის, როგორც განსაზღრულ მიმართულების ადამიანს, სურდა, რომ მგოსანზე სწორედ ზევით აღნიშნული აზრი ჰქონოდა და ნაძალადევად გაატარა იგი თვის ლექსში.

მეორეს მხრივ სავსებით შეიძლება გავიზიაროთ აკაკის სიტყვები. იმავე ლექსში გამოთქმული: „**ხან მიწისა ვარ, ხან ცისაო**“. დიაღ, მგოსანი ქვეყნად თვისი არსებობის დროს იმის და მიხედვით, თუ რა სულიერ ვითარებას განიცდის, ხან „მიწის შვილია და ხან კი „ცისა“ *) და ასეთი აზრი განსაკუთრებით დღესაა საყურადღებო რადგან ყოველ მხრიდან გვესმის ისტერიული ყიჟინა: „პოეტი ქურუმია, რომელიც მაღლა, ოლიმპზე სცხოვრობს, სადაც ვერ მიახწევს საცოდავ მომაკვდავ ადამიანის გონება და რომლის შემოქმედებასაც ვერ მისწვდება იგი და მაშასადამე ვერც შესძლებს მის დაფასებასო“. და აბა რა გვეთქმის ასეთ პირების მიმართ, თუ არა ის, რომ მალე განშორდნენ ამ „ცოდვილ“ ქვეყანას და დეე ოლიმპზე ივარჯიშონ! ჩვენთვის, ადამიანთათვის კი ყოველგვარი ხელოვანი ის „მოუსვენარი ფუტკარია“, რომელიც მარად გვიზიდავს წმინდა თაფლს და „ადამიანის სულიერი ძალის ძირითად თანხას აძლიერებს“. *)

(დასასრული იქნება)

ალ. წერეთელი.

---

*) ხაზი ყველგან ჩვენია. ალ. წერ.

*) საერთოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თუ ზოგი პოეტი მგოსანს „ზეკაცად“ წარმოიდგენს, ჩვენი აკაკი ერთის შეხედვით მას თითქოს ამცირებს და უბრალო „შუა კაცის“ როლს აკისრებს.

*) იხ. ოვსიანიკო კულიკოვსკი. ტომი V გვ. 87.

ზოგად ებრივი მიმდინარეობანი—ამბობს „ან-ტოსპი“. დიდი ხანია არსებობს ორი მიმართულება—კონსერვატორების და ლიბერალებისა. ამას ახლახან უკიდურესი მემარცხენენი მიემატნენ.

პირველ, კონსერვატიულ მიმართულების გამომხატველია უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ჟურნალი „ოვიტი“. მეორე მიმართულების, ლიბერალურისა—„მშაკი“ და „ჰორიზონი“. მესამე, უკიდურესი მიმართულების წარმომადგენელია „პაიქარი“.

შეიძლება ბევრს ეუცხოვოს „მშაკისა“ და „ჰორიზონის“ ერთს ჯგუფში მოქცევა. გვეტყვიან, თუ კი რაიმე ბრძოლა არსებობს—„პაიქარსა“ და „ოვიტის“ შორის კი არა, „მშაკსა“ და „ჰორიზონის“ შორის სწარმოებსო. მართალია.

მაგრამ „მშაკი“ და „ჰორიზონი“ ერთისა და იმავე ლიბერალურ-დემოკრატიულ მიმართულებისანი არიან. ორთავე გაზეთი გაიმიჯნა „ოვიტისაგან“, მაგრამ არა ნაკლებ გაიმიჯნა უკიდურესს შემარცხენეთაგანაც. ეს ასეა.

მაგრამ ისიც მართალია, რომ სოციალისტური სხვა და სხვა საკითხები, ოსმალეთის სომხეთი, დაშნაკციუთუნის სარევოლუციო ტაქტიკა—ყველაფერი ცხარე და ცამამ ბრძოლას, კამათს იწვევდა, მაგრამ ეს უფრო პირადი უთანხმოებისა და ჩვენი უკულტურობის ბრალი იყო და არა პრინციპიალური განსხვავებისა.

„მშაკის“ და „ჰორიზონის“ მიმდევრებში ბევრია ნამდვილი კონსერვატორი, ხოლო არიან უკიდურესი დემოკრატებიც, რომელნიც დღეს თუ ხვალ მარქსისტებს შეუერთდებიან, ან სოციალისტობას უარჰყოფენ და ნაციონალ-დემოკრატებს მიემხრობიან.

მაშინ იქნება სამი ჯგუფი: ცენტრში იქნებიან ლიბერალ-დემოკრატები, რომელთაც მიემხრობა ხალხის უმრავლესობა, მარცხნივ იქნებიან უკიდურესი დემოკრატები. ამ ჟამად კი რუსეთის სომხობა უფორმო მასას წარმოადგენს. აქამდე ცენტრალები ერთმანეთს ებრძოდნენ. ამიტომ თუ გვინდა რამე ძლიერი შევქმნათ, უეჭველად „მშაკელებმა“ ხელი უნდა გაუწოდონ „ჰორიზონელებს“ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ველაპარაკოთ ახალ პარტიის ორგანიზაციის შესახებ.

შავშეთში

(მგზავრის შთაბეჭდილებანი)

ოქტომბრის ბოლო რიცხვებია... ღამის გასათევად სოფელ მერისში მოვიხდით, რომელიც შავშეთის ქედის ძირას დასავლეთით მდებარეობს. მომცეს ცალკე სასტუმრო ოთახი „გუნახს“ ეტყვიან. როგორც შავშეთიდან მომავალი, ისე შავშეთში მიმავალი, ღამეს ამ სოფელში ითევს, ვინაიდან აქედან იწყება მთა, რომლის გადავლას ერთ დღეზე უხდება მგზავრი. ასე რომ გამვლელ-გამომვლელი ხშირია და თუ „გუნახი“ არა აქვთ და სტუმარი ვერ მიიღეს, დიდ სირცხვილად მიაჩნიათ.

სახლის პატრონი ახალგაზრდა მაჰმადიანი ქართველი ნაღვლიანად მიამბობს, თუ რა უბედურება დაატყდათ თავს ჯერ ჩეთნიქის და მერე რუსის მხედრობის მოსვლისას. „ისეთ დროს ღმერთმა ნუ შეგვასწროსო“ ერთად ერთ ჩვენ მარჩენალ პირუტყვს. გამოგვაყვანინებდნენ ჩეთნიქები და იქვე ჩვენ თვალწინ დაჰკლავდნენ, უარის თქმა არ შეიძლებოდა; საქონლის საფასურის აღებაზე ოცნებაც ზედმეტი იყო. როგორც იქმნა თავი დავაღწიეთ მათ, რომ ახლა რუსის რაზმი მოვიდა; იქვე სოფელზე დაბანაკდა. ვაიმე უი დაგვემართა. გადმოცემა იმ გაჭირვების, რაც გამოვიარეთ აღარ შემიძლია. რაზმის უფროსს ბძანება გაეცა: „საცა სინათლეს დავინახავთ ღამით იმ ადგილს თოფს დაუშენთო“. ამ გაფრთხილების ხალხის ყურამდე არ მიეღწია. ერთ სახლიდან საჭიროებისთვის გარედ გამოსულან. იგრიალა თოფმა და რამოდენიმე პირი იმსხვერპლა“.

ვახშამიც მოგვიტანეს. მასპინძელი და ერთი სტუმარიც ჰყავდა, იქვე ფეხმოკეცით მოუსხდნენ გობს და ერთ თასიდან შეექცეოდნენ. ვიფიქრე, უთუოდ სხვა პურჭელი არა აქვთ, რომ ერთ თასიდან სჭამენთქო. წყალი მომინდა. თავიანთი ჰიქიდან მომაწოდეს, გამიკვირდა. ვცხოვრობდი სპარსელ მაჰმადიანთა შორის, კარგად ვიცოდი მათი ჩვეულება, არავითარ შემთხვევაში წყალს არ მოგცემდნენ არა თუ თავის ჭიქიდან, არამედ შენი პურჭელი რომ მიგეტანა მაინც..:

ნავახშმევს დავწექით. მეუბნებიან „დიდი ადრიანად უნდა შეუდგეთ გზას, თორემ მთას ვერ გადავალითო“.

მართლაც საათის სამი იყო, როცა ზეზე წამოვდექი. საბრალო დიასახლისი ჩვენზე ადრე დიდი ხნით ფეხზე ყოფილა, რათა დროზე ცხენისთვის საკვები მიეცა და თავისი მეუღლისა და სტუმრისთვის თბილი სადილი (საუზმეს სადილს ეტყვიან). მოემზადებინა, ოთხის ნახევარზე გზას შეუდექით. თითქოს ბუნებაც გვწყალობს. ბადრი მთვარე თავის შუქს უხვად ჰფენს არემარეს. ცა ვარსკვლავებით არის მოჭედილი, არსად ღრუბლის ნასახი არ სჩანს. სოფელს ჯერ კიდევ სძინავს. სამარისებურ სიწყნარეს მდინარე მერისის შხუილი არღვევს. ეს მთის ნაკადი ხანდისხან მთვარის სინათლეზე გამოჩნდება და ათასფრად ბრჭყიალებს, მერმე იქვე ხევში იმალება. ცივა... ძალზე ცუდი გზა არის; ცხენს უჭირს, ხშირად მიხდება ჩამოსვლა და ფეხით სიარული; ჩემი თანამგზავრნი მანუგეშებენ საცაა დიდ გზაზე გავალთო. დიდის ტანჯვა-წვალების შემდეგ ამ სანატრელ გზასაც ველირსეთ. ზაფხულზე შეუკეთებიათ. ორი ცხენი ერთად ვერ მიდის; ერთი მეორეს მისდევთ, მთვარეც დაგვეკარგა; ამოეფარა მაღალ მთას. გზა ხევის პირად მიდის, რომლის უფსკრული ბნელით არის მოცული. შიგ ჩახედვა რაღაც შიშს ჰგვრის. ვეკვრით მთას გვერდით, რომ ხევში არ გადავიჩეხოთ. სიჩუმეა. შორიდან ისმის მამლის ყივილი. ფიქრებმა წამიღეს. გონებაში მიტრიალებს მოგონებანი.

არა ტკბილი წარსულის. მაგონდება უფროსის სიტყვები: „შავშეთში წასვლას მე არ გირჩევ, იქ წამსვლელი კაცი ვერ უპოვიათ და თქვენ მიდიხართ. სხვა რომ არ იყოს რა სიმშილით მოკვდებით. შავშეთი უდაბნო არისო“. არა უკეთესი წარმოდგენის იყო შავშეთზე ერთი ქართველი მოხელე, რომელსაც ერთი წელი იქ გაუტარებია. „კინაღამ გადვერიეო“, მეუბნებოდა მაგრამ საქმის სიყვარული, თუ ჩემი ჯიუტობა ნებას არ მაძლევს არჩეულ გზას ავუხვიო და სხვა გზით ვიარო... მივდივარ...

მეხატება მომავალი ვინ იცის, რა თვალით შეხედავს ქართველ ხალხის კეთილს სურვილს თავის მოძმე შავშელი, რომელიც რამდენიმე საუკუნე მოგლეჯილი იყო თავის დედას საქართველოს. ვინ იცის რამდენიმე საუკუნის ოსმალეთის გაბატონებამ რა დაღი დასდო საქართველოს საუკეთესო ნაწილს, სადაც განათლების ლამპარი უხვად სხივს აფრქვევდა ყველა ქართველთათვის.

მომესმა აჭარულის სიმღერა, გურულ კილოზე გასძახოდა.

„ასეთ სიმღერას შავშეთში ველარ გაიგონებთ, იქ თუ ვინმე იმღერებს, ისეც ეჯიბურათო“ (სპარსულად) გათენებისას მივაღწიეთ ერთ რუს, ნაპირები გაყინული იყო. ჩემი თანამგზავრნი იქვე ფეხს იხდიან უნდა განიბანონ, სალოცავად ემზადებიან.

შეუდექით უკვე მთას. მისი კალთები მწყავის ტყით არის შემოსილი, მუდამ ამწვანებული. ჯერ კიდევ ნაყოფი ასხია, რომელიც საყვარელ საჭმელს შეადგენს დათვისათვის. მცენარე მიწაზე არის გაკრული, მაღლა ველარ ასულა. დიდი თოვლი არ აძლევს საშუალებას სწორად გაიზარდოს. უკან დარჩა ეს ნაწილი მთისა. გვხვდება ტყე წიფლის, წაბლის და თელასი აგერ, უზარმაზარ წიფლის ხეზე ვხედავ რამოდენიმე სკას; იქვე, ხის ძირას რამდენიმე ხის ყუთი გდია. მეუბნებიან, რომ ჩეთნიკის ხელი აქაც მისწვდა: საბრალო ფუტკარიც არ დაუნდვია ამ ნახევრად ველურ ხალხს. სულ გაუნადგურებიათ. არც ერთი სკა ფუტკარი აღარ მოიძებნება ეხლა ამდენ ტყეში, მაშინ, როცა წინად ათასობით იყო თურმე სკა ფუტკარი. —თაფლს ვყიდდით და გაჭირვებულ ცხოვრების უღელს ვიმსუბუქებდითო.

გავიარეთ კარგა მანძილი და ჩემი თანამგზავრი მიჩვენებს იმ ადგილს, საცა მას რამოდენიმე ათეული სკა ფუტკარი ჰყოლია; ეხლა მის ნაცვლად ხედავ ხევში გადაყრილ ხის ყუთებს. გადახედა შიგ და თან ამოიოხრა. ბევრი რამეს შთქმელი იყო ამ დროს მისი მოცრემლილი თვალები. ჩემს ყურადღებას იპყრობს იქვე გზის პირას უზარმაზარი ხე, ირგვლივ შემოჩხილი. მიხსნიან, რომ ამ საშუალებით ჩვენ გვსურს ამ ადგილის „გატიალება“, ე. ი. ტყის მოსპობაო. ხშირად ტყე ხელს უშლის ბალახის ზრდას, რაც მცხოვრებთ ძლიერ ესაჭიროებათ. იმას კი არავინ ჰფიქრობს, რომ ტყის მოსპობის შემდეგ, წვიმის წყალი ადრე თუ გვიან მიწას წაიღებს და ბალახიც თავისთავად მოისპობა. ყოველ ფეხის გადადგმაზე გაჩნდება გვერდზე თელა ხეს წაქცეულს, რომლის შუა წლის განმავლობაში ეყოფოდა ერთ ოჯახს; აქ კი უსარგებლოდ ლპება, რომ მერმე მიწად ქცეული წყალმა ხევში ჩაიტანოს და მის მაგიერად ტიტველა ხრიოკი და დარჩეს. გული გიკვდება, როცა ასე შეუბრალებლად ტყის განადგურებას ხედავ.

რამდენად მაღლა ვიწევთ, იმდენად ხშირია ნაძვის და ფიჭვის ტყე, ერთი მეორეში არეული. „ნაძვის ხიდან ყავარს ვხლით და ფიჭვი კი არაფრად იხმარებაო“, მეუბნებიან.

მივახწიეთ საძოვარ ადგილებს. „ეილებს“ ეტყვიან. აქ, ამ ადგილებს აქვთ გაშენებული პატარა სახლები, რომელსაც „კიშლა“ ჰქვიან. „ამ ადგილას მაისში გადმოვდენით საქონელს, ხანამ კორდაზე (ასე უწოდებენ მთას, რომელიც შავშეთს იმერხევიდან მიჯნავს) ცივა, მერე კი, ივნისში და ივლისში თვით კორდას წვერზე ავდივართო“.

ცოტა დავისვენეთ. მზე საკმაოდ ჰფენს თავის მაცოცხლებელ სხივებს. გაგვითბა გაციებული სხეულები და ისევ გზას შევუდექით. შუადღისას, როგორც იქნა, ავედით კორდას წვერზე. საუცხოვო გადასახედავია. სამხრეთ-დასავლეთით სჩანს თეთრად შემოსილი კარჩხალის ქედი, ჩრდილოეთ-დასავლეთით ახალციხის ტიტველა მთები, რომლის წვერები ჩონჩხს წარმოადგენენ. დასავლეთით სჩანს თითქმის ნახევარი აჭარა. შორს მიწაზე ნისლი ეკვრის, რაც გვიშლის ზღვის დანახვას. აქ უკვე აღარ ვხვდებით იმ მდიდარ ბუნებას, რომლითაც შემკობილია მთის ფერდობები. მიწის პირად გაკრული, ათას ფრად დაგრეხილი წიფლის ბუჩქები მოწმეა იმ საშინელი გრიგალის, რომელიც აქა ჰქრის ხშირად და რომლის სუსხსაც ვერ უძლებს ვერავითარი სულიერი. ვაი იმ მგზავრს, რომელსაც ეს ბუნების საშინელება უსწრებს. რამდენიმე წუთში გამოასალმებს წუთისოფელს და იქვე ხევში გადაჩეხს. ეს სამსალა იცის ხოლმე ზამთრობით, განსაკუთრებით იანვარში, რომელსაც აქ „ზემერს“ ეძახიან. ამ დროს იშვიათად მგზავრობს ამ გზით ვინმე [illegible]

საათის [illegible] დავტოვეთ და [illegible] აქედან უკვე შავშეთი იწყება, [illegible] მიწები ჯერ კიდევ მერისლების ეკუთვნის. „შავშეთლებმა ერთი ვაჟი მოგვიკლეს და რომ სამაგიერო არ გადავვიხადნა, ეს მიწები მოგვცესო“. რამდენიმე ათასი ძროხა იქნება; საძოვარი ადგილებია და თან ტყე. აქ შავშეთის ქედს პარალელურად მისდევს ისეთივე მაღალი მთა, შუაზე მდინარე იმერხევი ჩამორბის, რომელიც იქვე კორდადან გამოდის. გზა მდ. იმერხევის ნაპირზე მიდის. ამ მდინარის მარცხნივ და მარჯვნივ მთის კალთები დაფენილია უდაბური, ჯერ კიდევ ხელუხლებელი ტყით. გზა ტყეში მიდის. მზის სხივი აქა-იქ თუ ჩამოატანს. თვალუწვდენელი ნაძვი და ფიჭვი ერთი მეორეს ჩაჰკონებიან; სიმაღლეში ერთი მეორეს დასჯიბრებიან; სურთ რამენაირად მზის სხივები ერთმა მეორეს მოსტაცოს; თვალს ვერ აშორებ ამ ბუნების სიმშვენიერეს. ქვარის ხის საამური სუნი სდის. ვიარეთ სამი საათი და ბოლო აღარ უჩანდა. მერმე კი აქა-იქ შეხვდები, ზოგი ხისთვის გული ამოუჭრიათ, [illegible] ყავრად თუ ივარგებსო. ზოგი წაუქცევიათ კიდეც, არ მოსწონებიათ და დაუტოვებიათ. მეორე და მესამე ადგილას მხოლოდ ხის ნაწილი აუღიათ. დანარჩენი კი ისე გდია. ტყე თხელდება; სჩანს სოფელს ვუახლოვდებით. მზე ქედს მოეფარა; ძალზე ცივა. მაჩვენებენ ხიდს—ეს თამარ მეფის გაკეთებულიაო. „იმ დროის ნაკეთები ხიდის დანგრევა არ შეიძლება, თუ ძალით არ დაანგრია კაცმაო. თამარ მეფე უბრძანებდა ქვას—მიადუღდი ერთი მეორესო და ქვაც მიადუღდებოდაო“. როგორც ჩვენ, ისე ესენიც თამარ მეფეს წმინდად სთვლიან. მხოლოდ ჩემს მხლებლებს აღარ სცოდნიათ, რომ თამარი იყო დედოფალი.

მივაღწიეთ სოფელ ივეთში. ღამე იქ უნდა გაგვეთია. სოფელი ორმოცი კომლისაგან შესდგება. სახლები [illegible] არის აშენებული. ერთი-მეორეზე მიდგმული. ეზოები არა აქვთ. სახლების შუა მარხილის გასავლელი არის დატოვებული. საშინელი ცუდი სუნი სდის; საქონლის ნაგავი აქვე [illegible] გვერდით [illegible] ლავს. შევედით [illegible] გიერობას [illegible] დენიმე გოჯი სიგრძე-სიგანით. „ფანჯრები რომ გავუკეთოთ, მინებს, ან როგორც ისინი იტყვიან, „ჯამებს“) ბავშვები დაგვიმტვრევენო“. მოგვიტანეს ვახშამი. გობს ფეხ-მოკეცილი უნდა მოუჯდე. ვერ ვახერხებ. ჩამოვჯექი „სეკუზე“ (ასე ეტყვიან ლოგინს). „სეკვა“ ასრულებს იმერული ტახტის, ანუ კრაოტის მაგიერობას. სიმაღლე ამ სეკვისა ოთხ გოჯს არ აღემატება. ვახშამზე ვზივართ ათი კაცი. ყველანი ერთ თასიდან ვსჭამთ. ყველას თავისი კოვზი აქვს, მაგრამ ვინაიდან ათი კოვზი ერთს თასში ერთბაშად აღარ ეტევა, ამიტომ ერთ-მეორეს ვუცდით. შევნიშნე, რომ სპარსელი მაჰმადიანი ქრისტიანთან ერთ ჯამიდან არ შესჭამს-თქო. მიპასუხა: „თქვენ კი არა, ჩვენ თათრებიც ძლიერ ვძულვართ იმ ყიზილბაშებსო“ (სპარსელებს). დიაღ, მკითხველო! „თათრებიც“, მეუბნებიან. წარმოდგენა არა აქვთ იმისი, რომ ისინი ქართველებია, მიუხედავად იმისა, რომ მთელი სოფელი ქართულად ლაპარაკობს.

დიდი, დიდი მუშაობა არის საჭირო, რომ მათ მათი ვინაობა შევაგნებინოთ.

დილით გზა უნდა განვაგრძოთ. ფული მინდა მივსცე მასპინძელს. ჩემი მხლებელი აჭარელი მეუბნება, რომ ფულს არ აიღებენ და წყენით კი ძალიან გწყენთო. ერთი ჩემი მხლებელთაგანი აჭარელი თავისი ცხენით უკან ბრუნდება. მე იძულებული ვხდები, ფეხით წავიდე; სოფელში ცხენი ვითხოვეთ. ეს გაიგო „მუხტარს“ და მითხრა: „თქვენ რომ აქედან ფეხით წახვიდეთ, ჩვენი სოფლის შეურაცხყოფა იქნება. „ქართველ კნიაზების“ ამაგს ჩვენ ვერას-დროს ვერ გადვიხდით. თქვენ რომ არ ყოფილიყავით, ვინ იცის, ჩვენ ეხლა ცოცხალი აღარ ვიქნებოდითო“. დაუძახა იქვე ორ ახალგაზრდას და ჩემი ბარგი მოჰკიდა. ძალიან უარზე ვიდექ, მაგრამ მუხტარმა თავისი არ დაიშალა, მე ცხენზე შემსვა, ბარგი კი გაგზავნა, თან დააბარა სოფელ იპხრეულამდე ჩაიტანეთ, იქ მუხტარი სხვა მუშას იპოვის და გაგზავნისო. როცა ჩემი მგზავრობის მიზეზი გაიგეს, ძალიან გაუხარდათ. [illegible] მარხილი ვიპოვეთ; ბარგი [illegible] და გაუდექით გზას. გზას [illegible] ღელეზე მიდის. ჩვენი მიახლოებით [illegible]. მსხალი და ვაშლი [illegible]. ყველას უნდა რითიმე გასიამოვნოს. ვუახლოვდებით სოფელ წყალსიმერს, სადაც დროებით უნდა დავისვენოთ და მეც აქ დროებით წერილსა ვსვამ.

ლევანი.

რუსეთის ამბები

— „რუსკოე სლოვოს“ სიტყვით, იმ სადილზე, რომელიც პროტოპოპოვს გაუმართნია იტალიელთა დელეგაციისათვის, ორას მოწვეულ პირთაგან მხოლოდ 40 გამოცხადებულა. იყვნენ მინისტრები: გრიგოროვიჩი, თ-დი გოლიცინი, დობროვოლსკი და პოკროვსკი. დეპუტატებიდან ორი იყო: რადკევიჩი და ოზნობიშინი, სახელმწიფო საბჭოდან: შჩეგლოვიტოვი და ტიმირიაზევი.

— იმავე გაზეთის სიტყვით, როდესაც პოლონეთის წესწყობილების პროექტს შეადგენს ახლად დანიშნული საგანგებო თათბირი, პოლონელთა გამოჩენილი მოღვაწეები და კოლო თავის აზრს წარადგენენ.

— სუხომლინოვის საქმეს თებერვლის შუა რიცხვებში გაარჩევენ. მის დამცველად ვექილი კაზარინოვი გამოდის.

— შტიურმერის შვილი ნოვგოროდის გუბერნატორად დანიშნეს.

— ოდესის ქალაქის უფროსი სოსნოვსკი შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწედ დანიშნეს. ამას ძლიერ დიდი ინტერესი გამოუწვევია სატახტო ქალაქის იმ წრეებში, რომელნიც გატაცებულნი არიან იოგების მოძღვრებით. სოსნოვსკი იოგების მოძღვრების ერთი მცოდნეთაგანია და წიგნიც კი დაუწერია ოდესღაც ლამაიზმის თაობაზე.

— მიტროპოლიტ პიტირიმს ამ ჟამად წლიური შემოსავალი აქვს 70,000 მანეთამდე.

— ფერგანის საოლქო სამმართველომ უარი უთხრა ტაშკენტის ხმოსანს ხოჯაევს თურქულ გაზეთის გამოცემაზე. ხოჯაევი აპირებს სამმართველოს გადაწყვეტილების განსაჩივრებას.

— [illegible] სამედიცინო ფაკულტეტის [illegible] კურსის სტუდენტებს [illegible] გამოუშვებენ ექიმებად. გაიმართება გამოსაცდელი ეგზამენები, რომელზედაც დაუშვებენ იმ სტუდენტებს, ვისაც 9—10 სემესტრი მოუსმენია. ვინც ეგზამენს ვერ დაიჭერს, პირველ ხარისხის ზაურიად-ექიმად ჩაირიცხება.

დღეს:

სახალხ. სახლ. ქართულ. წარმოდგ. „ყაჩაღები“.

ახალი კლუბი. ქართ. წარ. „არსენა“.

სახაზინო თეატ. ოპერა „ჩერევიჩკი“.

არტისტ. საზ. სომხური წარმ.

ხარფუხის კლუბი. ოპერეტი.

ძმ. ეფიმოვების ცირკი. საცირკო წარმოდგენა.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ჯორჯაძე.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

ტფილისიდან გადის:

			ს. წ.	
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგ.	№ 9,	10.33	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9,28	საღ.
ყარსისაკენ	სამგ.	№ 4-8,	11.18	საღ.
თელავისაკენ		№ 4.	9 .	დილ.
გორისკენ	სამგ.	№ 5,	9.10	დილ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგ.	№ 10	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგ.	№ 20,	7.43	დილ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
გორიდან სამგ.			6.34	საღ.
თელავიდან		№ 3,	6.24	„

ექიმი [illegible]
ნინო რ[illegible]
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 საათ. და საღ. 5—7 საათ. [illegible] ქუჩა 14 [illegible] ქუჩის შესახვევი 21.

დეკემბრის შუა რიცხვებში
დაიკარგა
პასპორტი
მოცემული კავთისხევის მამასახლისისაგან 56 ნომრით, ალექსანდრე გრიგორის ძე ბიჭიაშვილის სახელობაზე.
მპოვნელს ვსთხოვ, წამოიღოს „სახალხო ფურცლის“ კანტორაში. 88

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
11—12 ს. „606“ და „914“
ი. ა. ნავასარდიანი—11—1 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის, ავადმყ.).
ზ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ხნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. [illegible] ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ი. ა. ნავასარდიანი.
1057

აუქციონი
ტფილისის საქალაქო ლომბარდი
საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 29 იანვარს, დილის 10 საათზე ლომბარდის შენობაში
საჯაროდ გაიყიდება
ვადა-გასულ დაგირავებული ნივთები ძვირფასი ლითონისა, (თითოეული დაგირავ. ნივთი ღირს 120 მან. 2500 მან.) ქვები, საკერავი მანქანები, ხალიჩები შიგრინის ტყავი და სხვა. 53

თევზის მრეწველნი
ძმ. ძებველოვები
პუშკინის ქ., საკუთ. სახლი № 9, ტელეფ. № 712.
ყოველ დღე მოგვდის ახალი ქვირითის ხიზილალა, სრუთებით [illegible] მარილიანი, შავი „მეშოხნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო [illegible]. მუდმივ გვაქვს ცოცხალი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.
1085

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისთვის
დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი
წელიწადი მეცამეტე „ნაკადული“ წელიწადი მეცამეტე.
ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, [illegible] მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
ჟურნალი გამოვა თვეში ორჯელ.
24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის, 12 წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.
ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.
ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა 5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით 6 მ., ნახევარი წლით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ცალ-ცალკე: მცირე-წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ., მოზრდილთათვის 12 წიგნი 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც. მამადავითის ქ. № 2. დაწვრილებით აგენტებთან. 1483

კატორღობის მტერი
დამარცხებულია!!
სუსუნატი მორჩენილია. დადგა სანატრელი დრო,
ბოლო მოეღო ტანჯვას.
სუსუნატი
ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება პირველ-ხარისხოვანი „გონოზანით“ თავისი შესაზხაპუნებელით და დასალევით. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარ-გარეთულ ექიმებისა და პროფესორების მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.
ჩვენი გარანტია
თუ თქვენთვის ეს საქმე არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშუალებაა.
საშუალება ერთნაირად ნაცადია კაცებზეც და ქალებზეც. სუსუნატი [illegible] ორნაირი ახალი და დაძველებული. ფასი ახლის სუსუნატის მოსარჩენი 22 მანეთი და დაძველებულის 35 მანეთი. ნახევარი კურსი გარე ქვეყნებში არ იგზავნება. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 5 მანეთის მიღების შემდეგომ.
მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ რ. შმიდტ ტფილისი, თხინვალის ქუჩა № 12. პირდაპირ გოლოვინის პროსპექტისა და [illegible] ქუჩის. 2 ნაწ.
Р. Шмидтъ, Тиф[illegible] ская ул. № 12. [illegible]
პირადად ნახვა შე[illegible] წამალი იყიდება მ[illegible] 1853

Дозволено военной цензурою.

სტამბა „ქართლი“ მ. ი. ცაცაშვილისა. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. სემინარიის შენობა